15 თებერვალი, პარასკევი, 2013 წ. №2 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

უნივერსიტეტის საიუბილეო საღამოზე

თსუ — 95

გვ. 3

თსუ-ში ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი დაფუძნდა

გვ. 5

საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგები თსუ-დან

გვ. 7

თსუ-ში სოციალური მედიის ფუნქციებზე ორიენტირებული კვლევა ჩატარდა

გვ. 6

სადაც მივდივარ, ჩემს სათქმელს ვამბობ!

გვ. 8

უნივერსიტეტს შეუძლია ახალი მოვლენების შესატყვისი როლის მორგება

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან დავით უსუფაშვილთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის უნივერსიტეტში ვიზიტს დანატრებული სტუდენტები ხშირად გვთხოვენ იმ მიზეზის გარკვევას, თუ რატომ არ სტუმრობენ უნივერსიტეტს ახალი პოლიტიკური რეალობის ფონზე მაინც გატონი ბიძინა ივანიშვილი და დავით უსუფაშვილი. ჩვენ, ამ ეტაპზე, მხოლოდ იმის გარკვევა შევძელით, თუ რას ფიქრობს დღევანდელი უნივერსიტეტის როლსა და მისიაზე პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც იმ წარმატებულ უნივერსიტეტელთა შორისაა, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით მშობლიური სასწავლებელი ასახელეს. დავით უსუფაშვილს, როგორც გავარკვიეთ, დიდი სურვილის მიუხედავად, წლების მანძილზე უნივერსიტეტში არც კი შემოუხედავს და მას ამის მიზეზი, თურმე, ჰქონია.

რატომ აქვს დღემდე უკმარისობის განცდა უნივერსიტეტელს უნივერსიტეტში მოსვლისას? მის კედლებში ყოფნისას რისი მოთხოვნილება გაუჩნდა და რას ელის? — ამ თემაზე საუბარი მანვე ისურვა, როდესაც ჩვენ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფილმისთვის ექსკლუზიური ინტერვიუს ჩასაწერად ვესტუმრეთ.

მე-3 გვერდზე

ნომერში

მიღებული მემკვიდრეობა და ახალი სისხლი — გვ. 3

დისკუსია თემაზე: „სასამართლოს ხელისუფლების გამოწვევები – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება“ — გვ. 4

გაამართლა თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა? — გვ. 6

უნივერსიტეტს მიღმა დარჩენილმა პროფესურამ თსუ-ის 95 წლისთავი აღნიშნა — გვ. 9

სტუდია „მემატიანე“ მატიანედ ქცეულ წლებზე — გვ. 10



გვ. 11

უნივერსიტეტის საიუბილეო საღამოზე

თსუ – 95

ნატო ოზოლაძე

პირველი ქართული უნივერსიტეტის 95 წლის იუბილეს აღსანიშნავად 8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, უნივერსიტეტის წარმატებული კურსდამთავრებულები შეიკრიბნენ. ღონისძიება რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი — გაიმართა წიგნის „RettuLIT, ლიტერატურული დაბრუნება“ პრეზენტაცია, თსუ-ის პროფესორების დაჯილდოება, პროექტის — „ჩაიფიქრე ჩვენთან ერთად“ დასკვნითი ნაწილი, ფოტოგამოფენა „მე – უნივერსიტეტი“ და თბილისის მერიის „ბიგ-ბენდის“ კონცერტი.

საზეიმო მიღება თსუ-ის პირველ კორპუსში გაიმართა. მოწვეულ სტუმრებს შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც იყვნენ, რომლებმაც პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის შესახებ საკუთარი დამოკიდებულება და პატივისცემა გამოხატეს.

„ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტელისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ დღეს. მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ჩემი სტატუსისა, მაინც არ გამიწყვეტია უნივერსიტეტთან ურთიერთობა. კვირაში ერთ დღეს ყოველთვის ვუთმობ ჩემს სტუდენტებს. რა თქმა უნდა, ასევე, ვაცნობიერებ ყოველი ასეთი დღის ფასს, რომელსაც აქ ვატარებ“, — განაცხადა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორმა დავით ნარმანიამ.

„მოხარული ვარ, რომ დღეს საშუალება მაქვს უნივერსიტეტის დაარსების დღე მოგილოცოთ. განსაკუთრებით მის აღმატებულება სტუდენტობას მინდა მივმართო — ბედნიერები ხართ, რომ ამ კედლებში სწავლობთ. პირადად ჩემთვის არ არსებობს იმაზე დიდი თანამდებობა, რაც უნივერსიტეტის პროფესორობაა. ჩვენ, პროფესორები, და საქართველოს მთავრობა ყველაფერს გავაკეთებთ, რათა თქვენ უკეთესი მომავალი ააშენოთ“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორმა ნოდარ ხადურმა.

საიუბილეო საღამოზე წიგნის — „RettuLIT, ლიტერატურული დაბრუნება“ პრეზენტაცია გაიმართა. თსუ-ის 95 წლის იუბილეს აღსანიშნავად ლიტერატურული პროექტი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მარიამ სეხნიაშვილმა და ნინო კალანდიამ განახორციელეს. გამოიცა წიგნი „RettuLIT, ლიტერატურული დაბრუნება“, რომელშიც სხვადასხვა თაობის 15 მწერლის მოთხრობა შევიდა. თითოეულ მათგანში აღწერილია მათი მოგონება უნივერსიტეტის შესახებ – როგორ იწყებდნენ თავის მოღვაწეობას და როგორი იყო მათი სტუდენტობის დროს პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი. წიგნი მოიცავს თამაზ ჭილაძის, გივი შაჰნაზარის, გივი ალხაზიშვილის, დათო ტურაშვილის, მაკა ლდოკონენის, სალომე ბენიძის, დათო გორგილაძისა და სხვათა მოთხრობებს.

საზეიმო მიღებაზე თსუ-ის ადმინისტრაციამ უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის 6 პროფესორი დააჯილდოვა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრულ პროფესორს ქეთევან მარშავას, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულ პროფესორს დავით გორდეზიანს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულ პროფესორს ალექსანდრე რონდელს, მედიცინის ფაკულტეტის სრულ პროფესორს თემურ ჯორბენაძეს, იურიდიული ფაკულტეტის სრულ პროფესორს გურამ ნაჭყებიას და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს ლილი ჟორჟოლიანს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლები გადაეცათ.

„ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მიღება. სხვათა შორის უილბლო კაცი არ ვარ, იმ გაგებით, რომ მეორე კურსიდან ვიყავი იაკობ გოგებაშვილის სახელობის სტიპენდიატი. ეტყობა ჯერ კიდევ მაშინ განისაზღვრა, რომ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობა უნდა მეწარმეობინა. ჩემი თანაკურსელები იუმორით „ტოჟე მნე გოგებაშვილიო“ მეძახდნენ. ასე დამთავრდა ჩემი სტუდენტობა. ახლა ჩემს ასაკში ქადილი არ ივარგებს, მაგრამ წახალისება მაინც საჭიროა. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჯილდოსთვის“, — აღნიშნა ჯილდოს გადაცემის ცერემონიის შემდეგ იურიდიული ფაკულტეტის ემერიტუსმა გურამ ნაჭყებიამ.

„ადამიანებთან შესახვედრად უნივერსიტეტზე უკეთესი დაწესებულება არ არსებობს. ხალხი ბედნიერია, რომ 4 ან 5 წელი აქ ისწავლა. მე კი სწავლის გარდა, 45 წელია აქ ვასწავლი, ესეიგი 50 წელია უნივერსიტეტში ვარ. ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ეს მედალი ჩემთვის დიდი პატივია და დიდი მადლობა ამისთვის. სამწუხაროდ, ჩვენს ერში არის ხალხი, რომელმაც არ იცის — რას ნიშნავს უნივერსიტეტი, მაგრამ თუ მიმოიხედავენ, დაინახავენ, რომ ყველაფერი აქედან მოდის. ბევრი კარგი საქმე უნდა გავაკეთოთ, რომ თსუ ძალიან ძლიერი და კიდევ უფრო კარგი გახდეს,“ — განაცხადა პროფესორმა ალექსანდრე რონდელმა.

თსუ-ის რექტორმა პირადად დააჯილდოვა საახალწლო პროექტში „ჩაიფიქრე ჩვენთან ერთად“ გამარჯვებულები. შეირჩა უნივერსიტეტის საახალწლო ნაძვის ხეზე სტუდენტების მიერ დატოვებული 3 საუკეთესო სურვილი, რომელთა ავტორების ვინაობაც თსუ-ის საიუბილეო ღონისძიებაზე გახდა ცნობილი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მერი გოჩიაშვილი თსუ-ის ბიბლიოთეკაში დასაქმდა; უნივერსიტეტის მუსიკალური ჯგუფის „ever green”-ის წევრის გიორგი ცირეკიძის სურვილისამებრ მის მეგობარს და ამავე ჯგუფის წევრს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ელექტროგიტარა შეუძინა; გეოგრაფებისა და ალპინისტების ერთობლივ ექსპედიციაში თსუ-ის ოთხი სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას და გაზაფხულზე მყინვარწვერს დალაშქრავს. აღსანიშნავია, რომ საიუბილეო საღამოს იუმორის გარეშე არ ჩაუვლია. სტუდენტი, რომელიც „ძილის ვაუჩერს“ ნატრობდა, რექტორისგან ოფიციალურად ხელმოწერილი ვაუჩერი მიიღო. რექტორმა დიდხანს ეძება მოწვეულ სტუმრებს შორის ამ ნატვრის ავტორი — ანა ლიპარტელიანი და იგი აუდიტორიაში რომ ვერ აღმოაჩინა, ხმამაღლა დასძინა — „ალბათ სძინავსო“.

„გარდა ამ სურვილებისა, იყო ასეთი თხოვნებიც, რომ სტუდენტი ერთი დღე ყოფილიყო რექტორი, ერთი დღე ლექტორი. აქედან გამომდინარე როდესაც დაიწყება სწავლა, ამ ორ ადამიანს შეუძლია მობრძანდეს, ერთი დღე ამოარჩიოს ჩემი განრიგიდან, იმუშაოს და მიიღოს გადაწყვეტილებები, როგორც რექტორმა. სურვილის ავტორს, ასევე, შეუძლია ჩაანაცვლოს ლექტორიც“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

იუბილეს ფარგლებში ფოტოგამოფენა — „მე უნივერსიტეტი“ მოეწყო, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ წარმატებული კურსდამთავრებულების ფოტო-პორტრეტები წარმოადგინეს, რომლებმაც საკუთარი საქმიანობა სამეცნიერო სფეროში ან სხვადასხვა პროფესიის მიმართულებით უნივერსიტეტს გარეთ განაგრძეს. წარმატებული უნივერსიტეტელები ინტერნეტ-გამოკითხვის საფუძველზე შეირჩა. ფოტოების გადაღებები ფოტოგრაფის, მინდია მიდელაშვილის სტუდიაში მიმდინარეობდა.

„გადაღებები 5 დღის მანძილზე გაგრძელდა. სულ 32 ფოტორესპონდენტი გვყავდა. მუშაობა საკმაოდ რთული იყო, რადგან ყველა მათგანი სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი გახლდათ. ამავე დროს, რთულია, ადამიანს არ იცნობდე, შეხვიდე მასთან კონტაქტში და მისი ბუნებრივი ღიმილი მოიპოვო. დამეხმარა გუნდი, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობდა. შედეგი სახეზეა, მგონი ამოცანა კარგად ამოვხსენით“, — გვითხრა თსუ-ის იუბილეზე მინდია მიდელაშვილმა.

თსუ-ის 95 წლის საიუბილეო ღონისძიება თბილისის მერიის „ბიგ-ბენდის“ კონცერტით დასრულდა, სადაც მაია ბარათაშვილმა, მარი ებრალიძემ, თაკო გაჩეჩილაძემ, მარი პავლიაშვილმა, ბორის ბედიამ, ზაურ შავგულიძემ, გიორგი სუხიტაშვილმა და ალეკო ბერძენიშვილმა მსოფლიო ჰიტები შეასრულეს.

თსუ-ის საიუბილეო წელი 2012 წლის 10 დეკემბერს გამოცხადდა და მიმდინარე წლის შემოდგომაზე გალა ღონისძიებით დასრულდება.



ძილის ვაუჩერი

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲢᲧᲕᲘᲡᲘ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲐ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

— წელს უნივერსიტეტის საიუბილეო წელია. მას დაარსებიდან 95 წელი შეუსრულდა. ბანალურ კითხვას არ დაგისვამთ — თუ რას ნიშნავს თქვენთვის უნივერსიტეტი, რადგან ეს ყველასთვის, ალბათ, ისედაც ცხადია. ჩვენ გაგიმხელთ დღევანდელი უნივერსიტეტის აქტიურ სტუდენტთა ნაწილის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტში მეტნაკლებად შეწყდა სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეთა საპროგრამო გამოსვლების ტრადიცია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე მსჯელობისა თუ დისკუსიის გამართვის თვალსაზრისით. სტუდენტები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ მაღალი რანგის მოღვაწეები უწინდებურად აღარ მოდიან უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის ერთგვარი ანგარიშის წარსადგენად, მათგან რეკომენდაციების მოსასმენად და სადებატო. თქვენ, როგორც უკვე პარლამენტის თავმჯდომარე, როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი? უნივერსიტეტმა წარსული ფუნქცია დაკარგა თუ უბრალოდ დრომ და ვითარებამ მოიტანა ამ დაწესებულებისადმი დამოკიდებულების შეცვლა?

— თუ კონკრეტულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე ვისაუბრებთ, რამდენიმე ფაქტორს დავასახელებ. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტმა, გარკვეულწილად, დაკარგა ექსკლუზიური სტატუსი და ადგილი ქართულ საზოგადოებაში, რადგან იგი „უნივერსიტეტიზაციის ბუმმა" დააზარალა, თუ შეიძლება ასე ითქვას. ყველა სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნივერსიტეტი დაირქვა და პირველი ქართული უნივერსიტეტის სტატუსთან გათანაბრება მოისურვა. ასევე ბევრი გვაქვს აკადემიები, რაც ამ ტერმინოლოგიით პირველ გატაცებას უფრო ჰგავს. ამასობაში გაჩნდა რეალური კონკურენცია სხვადასხვა კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მხრიდან, რომლებმაც ცალკეულ საკითხებში არანაკლები ხარისხის განათლება შესთავაზა სტუდენტობას, თუმცა კომპლექსურად რომ ვინმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაჯიბრებოდა, ამას ჯერ ვერ ვხედავ. ჩემთვის გაუგებარი მოვლენების — უნივერსიტეტების გაერთიანების მცდელობისა და, ცოტაც, შურიანობის კვალობაზე თსუ-ს ბევრი კონკურენტი გამოუჩნდა. არის მეორე თემა: 1985 წლიდან და, განსაკუთრებით, 80-იანი წლების ბოლოს, რაც მე ვიცი, უნივერსიტეტი ბუნებრივად გახლდათ ის ადგილი, საითკენაც ყველა მიილტვოდა. მანამდე ქვეყანაში ჯერ არ იყო ის ინსტიტუტები, სადაც სხვა ფორმატში შეიძლებოდა დებატების გამართვა, მსჯელობა, თუნდაც რაიმეს პრეზენტაცია. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა პოლიტიკური პარტიები და გაჩნდა პარლამენტი, სადაც მოსაზრებებისა და შეხედულებების გამოხატვა თუ პაექრობა ყველას თანაბრად შეუძლია; მას შემდეგ, რაც ფუნქციონირება დაიწყეს ტელევიზიებმა (მოგეხსენებათ, უწინ მხოლოდ ერთი ტელევიზია იყო და იქამდე ვინ მიგიშვებდა), აღარაფერს ვამბობ ინტერნეტზე და ა.შ., ამდენად დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა უნივერსიტეტმა...

— თუმცა არა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების აზრმა?

— რა თქმა უნდა, ამას არ ვგულისხმობ.

ასევე, გამოითქმის ხოლმე მოსაზრებები, რომ ახალგაზრდობა ადრე უფრო მეტად იყო აქტიური, ვიდრე დღეს არის, რაც არასწორ მსჯელობად მიმაჩნია. ეს დასკვნა კეთდება იქიდან გამომდინარე — უნივერსიტეტში ახალგაზრდობა აქტიურობს თუ არა? გამოდის ქუჩაში თუ არა? რეალობა კი ის გახლავთ, რომ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც უწინ მხოლოდ უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ შეეძლოთ აქტიურობა, დღეს ამისთვის მათ სხვა არენაც გამოუჩნდათ. ზოგი პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციაშია გაწევრიანებული, ზოგი — არასამთავრობო ორგანიზაციაში და ა.შ. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ ფიქრობთ იმაზე — როგორ დაიბრუნოს უნივერსიტეტმა ის როლი, რაც 80-იან წლებში ჰქონდა, ეს შეუძლებელი იქნება, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ახლო წარსულში უნივერსიტეტის შიდა დაპირისპირების არენად გადაქცევამ მას გარკვეული დაღი დაასვა. ვგულისხმობ იმ პერიოდს, როდესაც ბევრი ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი აღმოჩნდა ნაკლებად საჭირო და ნაკლებად დაფასებული. ამ საუნივერსიტეტო რეფორმებმა, რომელთა ნაწილს შეიძლება ვეთანხმებოდე, ნაწილს კი — არა, ან მთლად არა, ამანაც, გარკვეულწილად, გავლენა იქონია უნივერსიტეტის იმიჯზე. ანუ, თუკი შიდა ურთიერთობები და შიდა სისტემა არ არის ისე აწყობილი, რომ ხალხს საკუთარი ინიციატივების გახმოვანებისკენ უბიძგოს, ხელოვნურად ამის გაკეთება შეუძლებელია. უნივერსიტეტს ამ თვალსაზრისით დიდი პოტენციალი აქვს, ისევე, როგორც მის გაზეთს, თუმცა არ არის საჭირო ამ პოტენციალის გამოყენება მაინცდამაინც იმ სტილის დასაბრუნებლად, რაც უწინ იყო. უნივერსიტეტს შეუძლია ახალი მოვლენების შესატყვისი როლის მორგება.

— შესაძლებელია თუ არა ახალ როლში მაინც ჰქონდეს უნივერსიტეტს თავისუფლების ის ხარისხი, რითაც დღემდე ამაყობს ქართული საზოგადოება?

— პრობლემა ის გახლავთ, რომ მას შემდგომ, როდესაც საბჭოეთი გაქრა და კომუნისტური ცენზურა მოისპო, ძალიან ბევრ საკითხში პრობლემა მაინც არ მოხსნილა. წლების მანძილზე ჩვენ სულ გვქონდა იმის განცდა, რომ არა თუ უნივერსიტეტის გაზეთი, არამედ უნივერსიტეტის კედლებიც კი, გარკვეულწილად, პოლიტიკური კონტროლის თუ პოლიტიკური იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ექცეოდა. იყო პერიოდები, როდესაც უნივერსიტეტში შეგეძლოთ ნებისმიერ თემაზე სამეცნიერო კონფერენციის გამართვა, მაგრამ ამას ენაცვლებოდა პერიოდები, როდესაც რაღაც საკითხზე დაბრკოლება შეგხვდებოდა და აუდიტორიის წინაშე წარდგენის უფლება გერთმეოდა. ... და ეს არ ეხება მხოლოდ საბჭოეთის წლებს. აკაკი ბაქრაძის ლექციებსა და, თუნდაც, მერაბ მამარდაშვილის ლექციებს თუ გავიხსენებთ, ეს იყო დიდი მოვლენა მაშინ, მაგრამ მათთვის ხელის შეშლის მიზეზი შეიძლებოდა აგვეხსნა იმით, რომ ისინი იმ სისტემას ებრძოდნენ. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, როდესაც უკვე დეკლარირებულ იქნა თავისუფლება, პრობლემები გაჩნდა იქაც, სადაც თავისუფლებას პირველ რიგში უნდა გაეხარა. ასეთ ადგილად კი, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიიჩნევა.

ᲩᲘᲜ-ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ, ᲠᲔᲒᲐᲚᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲔᲡ ᲠᲐᲛᲔᲡ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲪ, ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲦᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲒᲕᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ.

ვაღიარებ, რომ მრავალი წლის განმავლობაში უნივერსიტეტს მხოლოდ ავუვლიდი და ჩავუვლიდი გვერდს. სულ ორი კვირის წინ იყო, როდესაც უნივერსიტეტში ჩვენი ღვაწლმოსილი პედაგოგის, ბატონ ოთარ გამყრელიძის საიუბილეო ღონისძიებაზე დასასწრებად მოვედი. გაგიმხელთ ერთ ამბავს: როდესაც სააქტო დარბაზში ვისხედით მე, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და პროკურორი არჩილ კბილაშვილი, ჩემს ძველ მეგობრებსა და კოლეგებს გადავულაპარაკე, რომ ჩვენ ნომენკლატურული ნიშნით ხომ არ აღმოვჩნდით უნივერსიტეტის კედლებში-თქო. არ დაგიმალავთ და მქონდა იმის განცდა, რომ ჩემამდეც, შესაძლოა, სხვა მაღალჩინოსნებსაც რეგალიების გამო იწვევდნენ და აძლევდნენ სიტყვას. ამით იმის თქმა მინდა, რომ უნივერსიტეტი თავისუფალი უნდა იყოს ამ უხერხულობისგან. ეს ჩინ-მედლები, რეგალიები და თანამდებობები სხვა სივრცეში შეიძლება ნიშნავდეს რამეს. უნივერსიტეტი, მათ შორის, მისი გაზეთიც, უნდა იყოს ყველასთვის ღია, რადგან მხოლოდ ასეთი უნივერსიტეტი გვეამაყება.

პარლამენტის თავმჯდომარესთან, ბატონ დავით უსუფაშვილთან ვრცელ ინტერვიუს, რომელიც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფილმისთვის ჩავწერეთ, ჩვენი გაზეთის საიუბილეო ნომერში შემოგთავაზებთ.

ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ

ᲡᲝᲖᲐᲠ ᲡᲣᲑᲐᲠᲘ: ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲝᲚᲔᲠᲐᲜᲢᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

რა ვითარება იყო შექმნილი სასჯელაღსრულების სისტემაში და რა მემკვიდრეობა მიიღო 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ მისი წინამორბედისგან? — ამ თემებზე სასაუბროდ 11 თებერვალს სოზარ სუბარი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის რანგში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესურას პირველად შეხვდა.

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

თსუ-ში ვიზიტის მიზანი აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მეცნიერებას შორის კავშირის გაღრმავება გახლდათ — უფრო კონკრეტულად კი, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისთვის სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე და განსახორციელებელი რეფორმების შესახებ ინფორმაციის მინოდება და აღნიშნული საკითხზე თსუ-ის იურისტებისგან რეკომენდაციების მიღება. სოზარ სუბარის ინფორმაციით, საქართველოში ამნისტიის განხორციელებამდე 24 400 პატიმარი იყო და ამ მონაცემებით მსოფლიო რეიტინგში მეოთხე ადგილს იკავებდა. სასჯელმისჯილ პირთა დიდი რაოდენობის გამო ციხეებში პრობლემა წარმოიქმნა. მოუგვარებელი იყო ჯანდაცვის საკითხი, რაშიც, როგორც ხელმიუწვდომელი მკურნალობა, ასევე, გადამდები დაავადებების მქონე (როგორიცაა ტუბერკულოზი) პატიმრების ჯანმრთელ მსჯავრდებულებთან ერთად მოთავსება იგულისხმება. ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების რაოდენობა კი 700-ს აღწევდა. ამ მიზეზით 2010 წელს — 142, 2011 წელს კი 146 პატიმარი გარდაიცვალა და ეს მონაცემები არ ითვალისწინებს იმ მსჯავრდებულთა რაოდენობას, რომელთაც ციხიდან მომაკვდავ მდგომარეობაში გაათავისუფლეს. მინისტრის თქმით, წინა ხელისუფლების პერიოდში ასევე არ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული მკაცრი და ნახევრად მკაცრი ტიპის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები. პრობლემას წარმოადგენდა პატიმართა კვების რაციონის სიმწირეც.

„ამნისტიის შედეგად დღეს პატიმართა რაოდენობა 11 000-ს ჩამოსცდა, სავარაუდოდ ეს რიცხვი კიდევ დაიკლებს, რის შედეგადაც საქართველოში 10 000-ზე ცოტა ნაკლები პატიმარი იქნება. ცხადია, არ შეიძლება წინასწარ განსაზღვრო, რამდენი პატიმარი უნდა გყავდეს, მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული სისხლის სამართლებრივ პოლიტიკაზე. ყოველთვის ვამბობდი, რომ გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობა კი არ იყო პრობლემა, არამედ შერჩევითი სამართალი. მინდა გითხრათ, ამნისტიამ ჩვენ საშუალება მოგვცა გაგვემიჯნა სხვადასხვა ტიპის დაწესებულებები და უფრო მეტად გვეზრუნა პატიმართა ჯანდაცვაზე. ეს ერთერთი პირველი მიმართულებაა, სადაც რეფორმა დავიწყეთ. შესაბამისად, ყოველ თვეში, დაახლოებით, 1200 კაცი გაგვყავს საგანმოქალაქო საავადმყოფოებში, რადგან ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის დამატებით 2 მილიონი ლარის გამოყოფაა საჭირო. საავადმყოფოს ამოქმედებამდე ჩვენ გამოვაცხადეთ კონკურსი საქართველოში არსებული სასწრაფო დახმარების კომპანიებისთვის. შედეგად 4 კომპანიის სასწრაფო დახმარების ბრიგადები სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან იმორიგეობენ და საჭიროების შემთხვევაში კი პატიმართა საავადმყოფოში გადაყვანას უზრუნველყოფენ. ასევე, გავხსენით ტუბერკულოზის დაწესებულება, სადაც დაავადებულ პატიმრებს ვუმკურნალებთ, თუმცა ქრონიკული დაავადებების მქონე მსჯავრდებულები ჯერჯერობით იქ ვერ გადაგვყავს, რადგან მათი იზოლირების საშუალება დაწესებულებაში არ არის. არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ერთობლივი მუშაობის შედეგად თავიდან შევადგინეთ ჯანდაცვის მინისტრის №72 ბრძანება, სადაც იმ დაავადებების ჩამონათვალია, რომლის საფუძველზეც დაავადებული პატიმრები გათავისუფლებას ექვემდებარებიან. აღსანიშნავია, რომ წინა წლების განმავლობაში ხშირად იცვლებოდა აღნიშნული ბრძანება და ეს ქმედებები კონკრეტულ პირებზე იყო მორგებული. მინდა, ასევე გითხრათ, ჩვენ შევძელით სწორი მენეჯმენტის განხორციელების შედეგად პატიმართა კვების მენიუს გაუმჯობესება. წინა მენიუსგან განსხვავებით დამატებითი 18 საკვების ჩამონათვალია მოცემული", — განაცხადა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმა.

ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

სასჯელაღსრულების სისტემაში

მიღებული მემკვიდრეობა და ახალი სისხლი

მესამე გვერდიდან

ცვლილებები, ასევე, იგეგმება შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებშიც. სამუშაოები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და დაკავებული პირების უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება.

„დროებითი მოთავსების იზოლატორებში საკმაოდ სავალალო მდგომარეობა დაგვხვდა. ჩვენ ვგეგმავთ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას და სასეირნო ადგილების მოწყობას. დროებითი მოთავსების იზოლატორი არის ის ადგილი, სადაც პირველად ხდება ადამიანის თავისუფლების აღკვეთა და წარმოიქმნება პირველი სტრესი. ამიტომ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგეგმება ვიდეოკამერების დამონტაჟებაც. ჩვენ მოვიწვიეთ ევროსაბჭოს წარმომადგენელი, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ექსპერტი, პროფესორი ჯიმ მერდოკი, რომელიც იზოლატორებს დაათვალიერებს და შემდეგ მის რეკომენდაციებს სიამოვნებით გავითვალისწინებთ“, — აღნიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა თამარ ტალიაშვილმა.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში რეფორმის გატარება სასჯელის ერთერთი მთავარი ამოცანის პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის

განსახორციელებლადაც იგეგმება. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების ინფორმაციით, ამ მიზნით, ქალთა დაწესებულებაში სამკერვალო ფაბრიკა, მე-6 საპატიმრო დაწესებულებაში სანთლების საამქრო, მინანქრის სახელოსნო და კომპიუტერული სწავლების ცენტრი ამოქმედდება. ამ დროისთვის სასჯელაღსრულების სისტემაში ფსიქოლოგისა და იურისტის შტატებიც არის დამატებული, რათა საჭიროების შემთხვევაში პატიმრებმა როგორც იურიდიული, ასევე, ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეძლონ. თუმცა თსუ-ის აკადემიური პერსონალის განცხადებით, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესის ნაყოფიერად წარმართვისთვის აუცილებელია მეცნიერული კვლევების განხორციელება.

„შეუძლებელია საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე სასჯელაღსრულების სრულყოფილად მართვა, თუმცა საზოგადოებრივ კონტროლს მეცნიერულ კვლევებსაც დავუმატებდით. არ მაქვს პრეტენზია, რომ ჩვენ ნებისმიერი მსჯავრდებულის რესოციალიზაციას შევძლებთ, მაგრამ კრიმინოლოგიის მიმართულებით განხორციელებული კვლევები გარკვეული ტიპის პატიმრების რესოციალიზაციას მოახერხებენ. ამ მხრივ, ჩვენ ძალიან კარგი ნაბიჯი გადავდგით, როდესაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან ერთად სამეცნიერო ინსტიტუტი ჩამოვაყალიბეთ. იმედი მაქვს, ჩვენი თანამშრომლობა მეცნიერული კუთხით გაღრმავდება და სასჯელაღსრულების სისტემის გრძელვადიან პერსპექტივით განვითარებას შეუწყობს ხელს“, — აღნიშნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა მორის შალიკაშვილმა.

მორის შალიკაშვილმა შეხვედრაზე მოხსენება „მსჯავრდებულზე გძრელვადიანი სასჯელების უარყოფითი ზეგავლენა“ წარმოადგინა. ავტორის დასკვნით, გრძელვადიანი სასჯელი პატიმრებში მთელ რიგ პრობლემებს იწვევს, მათ შორის — იწყება ნასწავლის დავიწყების, სოციალური კონტაქტების მოშლის პროცესი, ასევე, ფსიქოლოგიური პრობლემები, მსჯავრდებულები ციხის პერსონალთან ურთიერთობის დროს უფრო აგრესიულები ხდებიან და ა.შ. მეცნიერის მოხსენებაში აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მოცემულია რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის. კერძოდ, ნაშრომში აღნიშნულია, რომ „უნდა გადაიხედოს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული სანქციები, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთა არ უნდა იყოს გრძელვადიანი. უნდა შეიცვალოს სასჯელთა შეკრებითობის და ნაწილობრივ შეკრებითობის პრინციპი და დაწესდეს სასჯელთა შთანთქმის მოდელი. სისტემატურად გადამზადდნენ (კომუნიკაციის ტრენინგები ჩაუტარდეთ) სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ის თანამშრომლები, რომელთაც ურთიერთობა აქვთ გრძელვადიან სასჯელმისჯილ მსჯავრდებულებთან“.

აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მეცნიერებას შორის კავშირის გაღრმავების აუცილებლობაზე ორივე მხარის წარმომადგენლები თანხმდებიან. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის განცხადებით, ასეთი სახის შეხვედრების გამართვა და სისხლის სამართლის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის პირველწყაროდან მიღება მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვისაც, რადგან ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, მომავალში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელი გახდეს.

დისკუსია თემაზე

„სასამართლოს ხელისუფლების გამოწვევები – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება“

იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი დისკუსიის საგანი გახდა 13 თებერვალს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრაზე.

დისკუსია შეეხებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის ცვლილებას, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ძალაუფლების შემცირებას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი წევრებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ვადას.

თამარ დადიანი

დღეისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭო კურირებს სასამართლო სისტემას, რომელსაც მოსამართლეების დანიშვნის და გათავისუფლების, ასევე, მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინარული სამართალწარმოების უფლებამოსილება გააჩნია.

შემოთავაზებული პროექტის თანახმად, საბჭო ნაკლებად იქნება დამოკიდებული პარლამენტზე და სრულიად დამოუკიდებელი გახდება პრეზიდენტისგან. გარდა ამისა ინიციატივა ითვალისწინებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ძალაუფლების შემცირებას საბჭოს წევრებად მოსამართლეების არჩევის პროცესში.

ეს კანონპროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ინიცირებულია, პარლამენტმა პირველი მოსმენით დეკემბერში მიიღო. ,,ნაციონალური მოძრაობა" კანონპროექტის მიღების წინააღმდეგია, ხოლო პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას ვეტოს დაადებს.

ერთერთი მთავარი საკითხი, რაც კანონპროექტზე უთანხმოებას იწვევს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი წევრებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ვადაა.

კანონპროექტის თანახმად, ყველა მოქმედი წევრის უფლებამოსილების ვადა ახალი წევრების არჩევისთანავე შეწყდება.

თავდაპირველად მთავრობა ცდილობდა, რომ პარლამენტს კანონპროექტი უმოკლეს ვადაში მიეღო, თუმცა მოგვიანებით, პროცესის შეჩერება გადაწყდა. ,,ნაციონალურმა მოძრაობამ" მოუწოდა ხელისუფლებას ვენეციის კომისიის დასკვნებს დალოდებოდა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა. საზოგადოებრივი ინსტიტუტების ნაწილი ცალსახად ემხრობა შემოთავაზებულ კანონპროექტს და საკუთარ არგუმენტირებულ მოსაზრებებს გამოთქვამს აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით.

თსუ-ის პროფესორ მასწავლებლებთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძე. შეხვედრას ასევე დაესწრნენ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის პროფესორები, ასევე, სამართლის დარგის მეცნიერები, მოსამართლეები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. დისკუსია თემაზე „სასამართლოს ხელისუფლების გამოწვევები – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება“ მათი აქტიური მონაწილეობით გაიმართა.

თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა მნიშვნელოვანი უწოდა კანონპროექტის განხილვაში პროფესო-მასწავლებელთა ჩართვას: „ასეთი სახის დისკუსიები ხელს შეუწყობს კანონის სრულყოფილად ჩამოყალიბებას და სასამართლო გარემოს გაუმჯობესებას. მოხარული ვართ, რომ ასეთი განხილვა თსუ-ში იმართება, რადგან ჩვენს უნივერსიტეტში დაგროვილი მეცნიერული გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვნად წაადგება კანონის ჩამოყალიბებას“, — განაცხადა რექტორმა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ სანდრო ბარამიძემ კანონპრექტის შესახებ ისაუბრა და იუსტიციის სამინისტროს მიერ წამოწყებული ფართომასშტაბიანი რეფორმების შეფასება გააკეთა: „რეფორმა მოიცავს სამართლის ყველა მიმართულებას, მათ შორის მართლმსაჯულებასაც. ჩვენ ჯერ კიდევ ნოემბერში დავიწყეთ მუშაობა და დეკემბერში პარლამენტს წარვუდგინეთ პროექტების პაკეტი, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და მართლმსაჯულების სისტემის სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტების რეფორმირებას ითვალისწინებს. ამ ინსტიტუციის რეფორმირების ერთერთი ძირითადი ნაწილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეკვეცას ეხება. ამ რეფორმებით ინტერესდებიან აკადემიური წრეები, ამიტომ დღევანდელ ღონისძიებაზე დასწრების მოწვევა სიამოვნებით მივიღე“, — განაცხადა მან.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის გამოსვლაში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს მხოლოდ ნაწილობრივ დაეთანხმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი. „იქ არის რამდენიმე პუნქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სასამართლოს დამოუკიდებლობას. დაუშვებელია კანონის მიღების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეჩერება. არ შეიძლება სასამართლოს თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეებისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის აკრძალვა. ჩვენს პოზიციას ვენეციის კომისიის ექსპერტებიც ეთანხმებიან. უმჯობესი იქნება, დაველოდოთ ვენეციის კომისიის დასკვნებს“, — განაცხადა მან.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შენიშვნების მოსმენის შემდეგ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ სანდრო ბარამიძემ კომენტარი გააკეთა: „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რომ კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდა, ამაში ეჭვი არც მეპარებოდა. რეფორმები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებების დიდი ნაწილის შეზღუდვასაც ითვალისწინებს და გასაკვირი არაფერია. რაციონალურ წინადადებებს ჩვენ ყველასგან ვიღებთ,“ - აღნიშნა სანდრო ბარამიძემ.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ ზაზა მეიშვილმა აღნიშნა, რომ ასოციაციის პოზიცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირებასთან დაკავშირებით ცალსახაა: „არ შეიძლება ასეთი ხელოვნური „ჩაჭრები" სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში, რადგან იგი შეიცავს დიდ რისკს, რომ მომავალში, ყოველთვის იქნება ცდუნება, ახალმა ხელისუფლებამ თავისი აქტიური მოქმედებით მუდმივად ცვალოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისთვის მნიშვნელოვანი, აუცილებელი გარანტორი — იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა. ეს არის ძალიან სარისკო რამ და ამიტომ წინ უნდა გავიხედოთ. პრეცედენტი საშუალებას მისცემს აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებას, უხეშად ჩაერიოს სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებაში.

მე-10 გვერდზე

ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ

12 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი დაფუძნდა.

ინსტიტუტის დაფუძნება იმ საქმიანობის გაგრძელებაა, რომელსაც თსუ-ში 2009 წელს ჩაეყარა საფუძველი. სწორედ ამ წლიდან დაიწყო გერმანიის ქალაქ შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელება საჯარო მმართველობაში, რასაც ლოგიკურად მოჰყვა ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დაარსება.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის დაფუძნების ინიციატორთა შორის, შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მაია ტორაძე

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, შპაიერის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრეას კნორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აკადემიური დირექტორი გიორგი ხუბუა, შპაიერის ერთიანი სამაგისტრო პროგრამის პროფესორები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანოების წარმომადგენლები, ოფიციალური პირები გერმანიის საელჩოდან.

ინსტიტუტის დაფუძნებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გახსნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი იქნება სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი და საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით წარმართავს. მისი თქმით, კვლევასთან ერთად, ინსტიტუტი განახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას და ხელს შეუწყობს საჯარო მოხელეთა გადამზადებას, რაშიც გერმანელი პროფესორების თანადგომა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება. „ამ პროგრამის ჩამოყალიბება თავის დროზე პროფესორ კარლ-პეტერ ზომერმანთან ერთად პროფესორ გიორგი ხუბუას ინიციატივა იყო. მას ყოველთვის სურდა, რომ პროგრამის ლოგიკური გაგრძელება ყოფილიყო იმ ტიპის ინსტიტუტი, რომელსაც ჩვენ დღეს ვაფუძნებთ“, — აღნიშნა მან.

საზოგადოებას მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამა ერთერთი წარმატებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დაფუძნება ლოგიკური გაგრძელებაა ამ მეტად მნიშვნელოვანი პროგრამისა. „მოგეხსენებათ, რომ ფორმალური განათლება საჯარო სექტორისთვის საქართველოში დღემდე არცერთ სხვა უნივერსიტეტს არ ჰქონია და ჩვენ ვართ პირველი, ვინც სტუდენტობას სამაგისტრო დონეზე აძლევს საშუალებას, მიიღოს ევროპული განათლება ინგლისურ ენაზე. ინსტიტუტის შექმნა ლოგიკური გაგრძელებაა ამ საქმიანობისა და ჩვენ გვინდა, რომ ეს ინსტიტუტი ქმედუნარიანი იყოს. მან უნდა იმუშაოს კვლევებზე, რაშიც უნდა ჩაერთონ სტუდენტებიც. ინსტიტუტმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს — გადაამზადოს საჯარო მოხელეები,“ — აღნიშნა მან და იქვე დასძინა, რომ ასეთი პროექტის განხორციელება პრაქტიკულად წარმოუდგენელი იქნება სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე და მისასალმებელია, რომ პირველი გამოხმაურება სწორედ ფინანსთა სამინისტროს მხრიდან არის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ფინანსთა სამინისტრო ურთიერთთანამშრომლობის უკვე მეორე მემორანდუმს აფორმებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. „ჩვენ, სამწუხაროდ, პროფესიონალი საჯარო მოხელეები არა გვყავს. გვყავს კარგი იურისტები, კარგი ეკონომისტები, მაგრამ ამ მიმართულებით ნამდვილად ყამირია და მოხარული ვარ, რომ ამ მოძრაობის სათავეებთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფინანსთა სამინისტრო ერთად დგანან. ჩვენ შევთანხმდით, რომ ერთერთი პირველი სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც ამ ინსტიტუტის დახმარებას მიიღებს, მათ შორის საჯარო მოხელეთა გადამზადების კუთხით, იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ჩვენ მზად ვართ, დავუთმოთ მათ ფინანსური აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რათა პირველ ეტაპზე სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები გადამზადდნენ“, — განაცხადა მან.

გერმანიის შპაიერის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორმა ადრეას კნორმა გერმანელი პროფესორების სახელით მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირს, რომელმაც ხელი შეუწყო ინსტიტუტის დაარსებას და განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი იქნება ერთერთი უნიკალური ინსტიტუტი კავკასიის რეგიონში. „ამისათვის არსებობს სამი მიზეზი. ინსტიტუტი უნდა გახდეს ადმინისტრაციული კვლევის ცენტრი საქართველოში, უნდა უზრუნველყოს სათანადო განათლების მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის, და ბოლოს, ის უნდა გახდეს ამ პროგრამის ახალი სახლი საქართველოში. ჩვენ ვამაყობთ, რომ მონაწილეობას ვიღებთ ამ ინსტიტუტის დაარსებასა და ფორმირებაში“, — განაცხადა ანდრეას კნორმა.

ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აკადემიურმა დირექტორმა გიორგი ხუბუამ ხაზგასმით აღნიშნა „ფოლკსვაგენის“ ფონდისა და გერმანელი პროფესორის კარლ-პეტერ ზომერმანის წვლილი „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის დაარსებაში. მან აღნიშნა, რომ გერმანიაში შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი ელიტარულ უნივერსიტეტად მიიჩნევა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მჭიდრო თანამშრომლობა ამ უნივერსიტეტთან საამაყოა. „ინსტიტუტის მიზანი ძალიან ნათელი და კონკრეტულია. საქართველოს, როგორც ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს, აქვს თანამედროვე განათლების მქონე სახელმწიფო მოხელეთა საჭიროება. მიუხედავად ჩვენი ძალიან დიდი მცდელობისა, თითქმის 4 წლის მანძილზე ვერ შევძელით შპაიერის უნივერსიტეტის ეს პროგრამა საინტერესო მისამართად გვექცია სახელმწიფოსთვის. მადლობა ბატონ ნოდარ ხადურს, რომ ასე ოპერატიულად, პირველივე შეხვედრისთანავე მნიშვნელობა მიანიჭა ამ პროექტს. ისიც კარგი სიგნალია, რომ პირველი შემკვეთი სწორედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროა. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებას სურს ჰყავდეს თანამედროვე ევროპული განათლების მქონე შესაბამისი კადრები. ძალიან მიყვარს და ხშირად ვიმეორებ ბისმარკის სიტყვებს: „კარგი კანონებით და ცუდი მოხელეებით სახელმწიფოს ვერ მართავ, მაგრამ ცუდი კანონებით და კარგი მოხელეებით შეიძლება სახელმწიფო მართო“. ჩვენ გვინდა კარგი კანონებიც და კარგი მოხელეებიც და ამისთვის ეს ინსტიტუტი ბევრ რამეს გააკეთებს“, — აღნიშნა მან.

ამავე ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს შპაიერის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრეას კნორი, რომელმაც ევროპის ეკონომიკური კრიზისის შესახებ საჯარო ლექცია წაიკითხა. მან ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ევროპის მონეტარული კრიზისი და ამ კრიზისის დაძლევის ალტერნატიული გზები.

ღონისძიების დასასრულ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის საერთო სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობის“ ხუთ კურსდამთავრებულს — ნინო ხუციშვილს, ლორეტა ამაშუკელს, თეიმურაზ გაბრიაძეს, ლია ხატიაშვილს და გვანცა გვარამაშვილს დიპლომები გადაეცათ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ ᲗᲡᲣ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

8 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-სა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მოაწერეს ხელი.

თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით: „უნივერსიტეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსგავს ხელშეკრულებებს, განსაკუთრებით ისეთ ძლიერ ინსტიტუციასთან, როგორიც ფინანსთა სამინისტრო და მისი ქვეუწყებებია. თსუ-ის სტუდენტები ფინანსთა სამინისტროში პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს შეიძენენ. ცოდნის მიღებასთან ერთად, წარმატებულ სტუდენტებს სამინისტროში დასაქმების პერსპექტივაც ექნებათ“.

„მემორანდუმით სამინისტრო საკუთარ თავზე იღებს ეკონომიკისა და ბიზნესის, აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთა სტაჟირებას, პრაქტიკის გავლას. მათი საუკეთესო ნაწილი კი სამინისტროშივე დასაქმდება. თავის მხრივ, სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც უნივერსიტეტშია დაგროვილი. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი ურთიერთობა ორმხრივ სასარგებლო და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის სასარგებლო იყოს“, — განაცხადა რექტორმა

მემორანდუმის თანახმად, თსუ-ის სტუდენტები ფინანსთა სამინისტროში გაივლიან სტაჟირებას და სასწავლო პრაქტიკას; უნივერსიტეტი კი საჭირო მეთოდოლოგიური მასალებით, წვრთნის მოდულებით და ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა ინტელექტუალური რესურსებით უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროს; ასევე, განხორციელდება ერთობლივი პროექტები.

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ინიციატივითა და ხელშეწყობით, 2013 წლის 2-5 თებერვალს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა აზერბაიჯანის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორები: ეიუკ აკტეპე (ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი და სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი) ნატიკ გურბანოვი, ასიმან გულიევი და დოქტორი ფარიზ აჰმადოვი.

წინასწარ განსაზღვრული პროგრამის მიხედვით გაიმართა შეხვედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან ალექსანდრე კვიტაშვილთან, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანთან აკაკი ხელაძესთან, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელთან, პროფესორ სიმონ გელაშვილთან, კათედრის პროფესორებთან ქეთევან მარშავასთან, ნინო აბესაძესთან და სხვებთან. შეხვედრებზე განიხილეს თსუ-სა და აზერბაიჯანის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის შემდგომი თანამშრომლობის საკითხები.

თსუ-ის რექტორთან ალექსანდრე კვიტაშვილთან შეხვედრისას აზერბაიჯანელმა სტუმრებმა წარმოადგინეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტი და იმედი გამოთქვეს, რომ უახლოეს პერიოდში ის ოფიციალურად გაფორმდება, რასაც ბატონი რექტორიც დაეთანხმა.

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე შეხვედრის დროს სრულმა პროფესორმა სიმონ გელაშვილმა აზერბაიჯანელ კოლეგებს გააცნო კათედრის როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მიღწევები და საზღვარგარეთელ კოლეგებთან თანამშრომლობის კონკრეტული შედეგები. სტუმრებმა კათედრასთან ფართო თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვეს.

აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის საერთაშორისო აქტიურობის მაღალ დონეზე, რაც სტუმრებთან შეხვედრისას ხაზგასმით აღნიშნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა აკაკი ხელაძემ.

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

კვლევა

გაამართლა თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა?

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში 2010 წელს დაარსდა. ქართულ სამართლებრივ სისტემაში სიახლის შემოტანას იურიდიულ სამეცნიერო საზოგადოებაში განსხვავებული შეფასებები მოყვა. ამ დროისთვის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით თბილისის საქალაქო სასამართლოში სულ 3 საქმეა განხილული. 2013 წლის დასაწყისში კი საქართველოს მთავარი პროკურორის ინიციატივით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა პროექტი მომზადდა, რომლის თანახმადაც, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა ფართოვდება. ნაფიცი მსაჯულები იმ საქმეებსაც განიხილავენ, რომელზეც საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, კერძოდ, მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეებს. ამ დროისთვის ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 110-ე და 114-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

ნატო ოგოლაძე

ქართული სამართლებრივი სისტემის რეფორმირების პროცესში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვა ერთერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რაც, ზოგადად, საზოგადოების საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს. გაამართლა თუ არა ამ სიახლის დანერგვამ? რა სახის ხარვეზები არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში? — ამ საკითხებს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესურა საგრანტო პროექტის „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის, შესწავლისა და ანალიზისთვის“ ფარგლებში იკვლევდა. პროექტი „ფონდი ღია საზოგადოება — საქართველოს“ დაფინანსებით განხორციელდა და მისი შემაჯამებელი ანგარიში თსუ-ის პროფესორებმა 31 იანვარს გამართულ პრეზენტაციაზე წარმოადგინეს.

ანგარიშის სახით მოხსენებები წაიკითხეს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებმა: პროექტის დირექტორმა გურამ ნაჭყებიამ (ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი), პროექტის ექსპერტმა მზია ლეკვეიშვილმა (ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საქმიანობა თბილისის საქალაქო სასამართლოში), თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ მაია ივანიძემ (პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის მოკლე ანალიზი), ასისტენტ-პროფესორმა ნინო გოგნიაშვილმა და ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი თუმანიშვილმა (ნაფიცი მსაჯულები (შედარებითსამართლებრივი ანალიზი) და სხვებმა. ანგარიშის პრეზენტაციას თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილიც ესწრებოდნენ.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ანალიზის შემაჯამებელ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ცალსახად შეფასება, მისი ჯერ კიდევ მწირი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, თუმცა კვლევებში მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები მოცემულია და სასამართლო ხელისუფლების მიმართ რეკომენდაციებიც გაწერილია.

„დადებით მოვლენად უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ, ძირითადად, მსაჯულების უმრავლესობა სერიოზულად მოეკიდა საქმეს და ჩანდა, რომ მათ ესმოდათ მათთვის დაკისრებული მოვალეობის მნიშვნელობა და ის ფაქტი, რომ მათ უნდა გადაეწყვიტათ ადამიანების ბედი. მსაჯულთა ნაწილი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას აკეთებდა ჩანაწერს, რაც, ცხადია, მისასალმებელია. ასევე, ჩანდა, რომ ისინი გულმოდგინედ განიხილავდნენ საქმის მასალებს და, რამდენიმე საათის მსჯელობის შემდეგ, საპროცესო ნორმების ზუსტი დაცვით, გამოჰქონდათ ვერდიქტი. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმასაც, რომ ყველა მსაჯული არ იდგა მოწოდების დონეზე. პროცესის მიმდინარეობისას შევნიშნეთ, რომ ერთერთმა ნაფიცმა მსაჯულმა ჩათვლიმა, ზოგიერთს კი ეტყობოდა, რომ ნაკლებად აინტერესებდა განსახილველი საქმის გარემოებანი. რაც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებულ მხარეთა მონაწილეობას სასამართლო პროცესში: ძირითადად, ბრალდებისა და დაცვის მხარემ თავი გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა პროცესის მიმდინარეობისას არ შეიმჩნეოდა. სხდომა წარიმართებოდა საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის დარღვევასთან გვქონდა საქმე და არ იყო სწორი, როდესაც მოსამართლემ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამოიკვლია დამატებითი მტკიცებულებანი მაშინ, როდესაც საპროცესო კანონმდებლობით ეს მტკიცებულებანი უნდა განეხილათ მათ გარეშე. იყო შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ, მართალია, არცთუ მნიშვნელოვნად, მაგრამ მაინც დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი: მხარეთა შეთანხმების გარეშე დასვა დამაზუსტებელი კითხვები“, — აღნიშნულია მზია ლეკვეიშვილის მოხსენებაში.

სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებასა და სასამართლოს ობიექტურობის გაძლიერების პროცესში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის მნიშვნელობაზე თსუ-ის ემერიტუსმა, პროექტის დირექტორმა გურამ ნაჭყებიამ ისაუბრა. მისი თქმით, მოსაზრება ნაფიც მსაჯულთა ნაკლოვანების შესახებ, რომელიც მსაჯულების არაიურიდიულ განათლებას ეფუძნება, არამართებულია.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შეაფასეს თსუ-ის პროფესორებმა ნინო გოგნიაშვილმა და გიორგი თუმანიშვილმა. მათ აშშ-ის, ინგლისის, კანადის, შოტლანდიის, ირლანდიის, ესპანეთის, რუსეთისა და საფრანგეთის გამოცდილება და კანონმდებლობა გააანალიზეს. ასევე, განიხილეს ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და საქართველოში ამ ინსტიტუტის დაარსების გარკვეული თავისებურებები.

ექსპერტების შეფასებით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის ერთერთი მნიშვნელოვანი და დადებითი მხარე მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების ჩართულობაა. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორთა პროექტის ფარგლებში მიმდინარე კვლევისას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისადმი საზოგადოების დამოკიდებულება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ საქართველოს მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის შედეგებისა (2011 წლის მაისი) და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების გამოკითხვებზე დაყრდნობით შეფასდა. პირველი გამოკითხვა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებამდე ჩატარდა, მეორე კი — მათ მიერ სამი სისხლის სამართლის საქმის განხილვის შემდეგ. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სტუდენტები ახალი ინსტიტუტის შესახებ ჩვეულებრივ მოქალაქეებზე მეტ ინფორმაციას ფლობენ, თუმცა, ზოგადად რომ ვთქვათ, საზოგადოება ნაფიცი მსაჯულების შესახებ ნაკლებად ინფორმირებულია.

„რითი შეიძლება აიხსნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ მოქალაქეთა ასეთი დაბალი ინფორმაციულობა, მაშინ, როცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებამდე სახელმწიფოს მხრიდან საკმარის საინფორმაციო კამპანიას ჰქონდა ადგილი? ვფიქრობთ, საკითხი მეტად დამაფიქრებელია. აღნიშნულისადმი თანამოქალაქეთა ეს უინტერესობა, შესაძლებელია, რამდენიმე ფაქტორით იყოს გამოწვეული: სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ახალი (სახელმწიფო) ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის დაბალი ინტერესი და სხვა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ნაკლები ინტერესი საბჭოთა აზროვნების გადმონაშთიცაა — მოქალაქეთა ნაწილი ფიქრობს, რომ მხოლოდ სახელმწიფოა ვალდებული, გაატაროს რეფორმები და რომ მისი წვლილი სახელმწიფოს რეფორმებში ნაკლებია“, — წერს მორის შალიკაშვილი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეფასებისას.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი ნდობას, მის ამოქმედებამდე და ამოქმედების შემდეგაც, მოსახლეობის 37%-67% მიიჩნევს, რომ ახალ ინსტიტუტს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ფაქტორის ამაღლება შეუძლია.

პროექტის „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის შესწავლისა და ანალიზისთვის“ შემაჯამებელ ანგარიშში თსუ-ის მეცნიერებმა სასამართლო ხელისუფლებისადმი გარკვეული რეკომენდაციებიც გაწერეს: „1. ნაფიც მსაჯულთათვის გამართულ ტრენინგებზე უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ნაფიც მსაჯულთათვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებას. 2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის განმარტებები, იქნება ეს გაკეთებული სხდომის გახსნისას თუ სათათბირო ოთახში გასვლის წინ, ნაფიც მსაჯულთათვის მარტივად უნდა იყოს გადმოცემული. 3. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარებული პროცესებზე ამაღლდეს პროცესის მონაწილე მხარეთა სამართლებრივი დონე. 4. უნდა დაიხვეწოს და დაზუსტდეს ზოგიერთი სამართლებრივი ნორმა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეეხება. კარგი იქნება, თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე ქვეთავად მაინც იქნება გამოყოფილი ის ნორმები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა იურისდიქციას ეხება და ისინი არ იქნება მიმობნეული კოდექსის სხვადასხვა თავში“. ანგარიშში რეკომენდაციები იმ ჟურნალისტებისთვისაც გახმიანდა, რომლებსაც სასამართლო პროცესების გაშუქება ევალებათ. მეცნიერების თქმით, მიზანშეწონილია, პროცესების დამთავრებამდე პრესა, რადიო და ტელევიზია შეფასებების გარეშე მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემით შემოიფარგლონ, რათა ნაფიც მსაჯულთა საქმიანობაზე საზოგადოებაში გავრცელებულმა მოსაზრებებმა ზეგავლენა არ მოახდინოს.

თსუ-ში სოციალური მედიის ფუნქციებზე ორიენტირებული კვლევა ჩატარდა

ნატო ოგოლაძე

საზოგადოების რა ნაწილი და, ამავე დროს, რა მიზნით სარგებლობს სოციალური მედიით? ვითარდება თუ არა სამოქალაქო ჟურნალისტიკა? რამდენად არის შესაძლებელი, რომ სოციალურმა მედიამ ხელთ არსებული ბერკეტებით ქვეყანაში არსებული პოლიტოკრატია მედიოკრატიით ჩაანაცვლოს? რამდენად მწვავედ არის გამოხატული სოციალურ ქსელებში რეალურისა და ვირტუალურის ურთიერთმიმართების პრობლემა? რა გავლენა აქვს სოციალურ მედიას ქართველთა პიროვნულ მახასიათებლებსა და ეროვნულ იდენტობაზე? - ამ თემებს მიეძღვნა კვლევა, რომელზეც მუშაობაც 2012 წელს მიმდინარეობდა.

კვლევის — „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში – რეალური ვირტუალურის ძალაუფლება?“ ანგარიშის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. კვლევა თსუ-ის მკვლევართა ჯგუფმა — სოციოლოგიის დოქტორმა ფლორა ესებუამ, სოციოლოგიის მაგისტრმა ირაკლი კახიძემ, სოციოლოგიის მაგისტრებმა ნანა მაჭარაძემ, ანა კვინტრაძემ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა თსუ-ის ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ლია წულაძის ხელმძღვანელობით ჩაატარა. კვლევის მიზანი საქართველოში სოციალურ მედიაში არსებული ტენდენციების შესწავლა გახლდათ.

პრობლემური საკითხების გამოსარკვევად თსუ-ის მკვლევართა ჯგუფმა სოციალური მედია მისი 4 ძირითადი ფუნქციის საფუძველზე გამოიკვლია — ინფორმაცია, გართობა, დემოკრატია და კონტროლი. კვლევისათვის შეირჩა სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური შეხედულების ელექტრონული გამოცემები: „ლიბერალი“, „ტაბულა“, „რადიო თავისუფლება“... აგრეთვე სამოყვარულო საიტები, მათ შორის „forum.ge“. ბლოგებისა და ფორუმის ანალიზი მათზე გამოქვეყნებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის მონიტორინგის განხორციელებისა და ავტორებთან და მედია-ექსპერტებთან ჩაწერილი ინტერვიუების განხილვის საფუძველზე ჩატარდა.

„მედიოკრატიისა და პოლიტოკრატიის საკითხებთან მიმართებით გამოიკვეთა, რომ ჩვენს რეალობაში პოლიტოკრატიას აქვს ადგილი, ანუ პოლიტიკის მიერ მედიის კოლონიზაციას. მედიოკრატიას გლობალურ ტენდენციად მიიჩნევენ, მაგრამ ეს ტენდენცია ქართულ რეალობაში ნამდვილად არ შეიმჩნევა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჩვენი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჯერ კიდევ დიდ ხანს არ უნდა ველოდოთ მედიოკრატიას. რაც შეეხება მეორე ტენდენციას, აშკარად გამოკვეთილია და ამას რაოდენობრივი კვლევაც ადასტურებს (რომელიც 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა), რომ სოციალური მედიის გამოყენება უფრო მეტად გართობის მიზნით ხდება. გართობა არის ის ძირითადი ფუნქცია, რომელსაც სოციალური მედია ასრულებს საქართველოში. ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს, გარკვეულწილად, სიჯანსაღის გამოხატულებაც არის. ქართულ სოციალურ მედიაში მედია-პროდუქტის შემქმნელიც და მომხმარებელიც ახალგაზრდობაა, რომელსაც პოლიტიკაზე მეტად გართობა აინტერესებს.

მე-7 გვერდზე

თსუ-ში სოციალური მედიის ფუნქციებზე ორიენტირებული კვლევა ჩატარდა

მეექვსე გვერდიდან

თუმცა დასავლურ სივრცეს თუ გადავხედავთ, იქ სოციალური ქსელები უფრო აქტიურად სამოქალაქო აქტივობაში ჩასართავად გამოიყენება. საქართველოში კი მედია-სივრცეში 1000 კაცმა პეტიციას ხელი რომ მოაწეროს, საპროტესტო აქციაზე აქედან შეიძლება 100-იც არ მივიდეს“, — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა ლია წულაძემ.

საქართველოში სოციალური მედიის განვითარების ტენდენციების რაოდენობრივი კვლევა თსუ-ის მკვლევართა ჯგუფმა 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში განახორციელა. თბილისში, რუსთავში, გორში, თელავში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე 1000 ინტერნეტ-მომხმარებელი გამოიკითხა. კვლევის წინასწარი შედეგები თსუ-ის მკვლევართა ჯგუფმა თვისებრივი კვლევის პრეზენტაციის დღესაც წარმოადგინა. ინტერნეტ-მომხმარებლებში ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა — თუ კონკრეტულად რამდენი ადამიანი იყენებს სოციალურ მედიას და ინტერნეტს გართობისთვის, შემეცნებისთვის; რამდენად დიდია ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციის მიმართ საზოგადოების ნდობის მაჩვენებელი და ა.შ. კვლევის მიხედვით, სქესობრივ ჭრილში პროცენტული მაჩვენებლები საინტერესოდ გადანაწილდა. სამეცნიერო ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით, ახალი ამბების გასაცნობად და ნაცნობებთან ურთიერთობისთვის ინტერნეტს ქალები უფრო მეტად იყენებენ, ვიდრე მამაკაცები. ინტერნეტ-მომხმარებლების უმეტესობისთვის ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ ისევ ტელევიზია რჩება, თუმცა, სანდოობის მხრივ, ინტერნეტს ანიჭებენ უპირატესობას. სოციალურ ქსელებს გამოკითხულთა 90% მოიხმარს, დანარჩენი 10% კი თვლის, რომ ეს მათი ასაკისთვის შეუფერებელია და დროის ფუჭად დაკარგვაა. რაც შეეხება კონკრეტულ სოციალურ ქსელებს – 81% იყენებს „სკაიპს“ და „ფეისბუქს“. ძირითადად რეგიონებში კვლავაც აქტიურად იყენებენ „ოდნოკლასნიკების“ საიტს.

„საინტერესოა, რომ კითხვაზე: — არსებობს თუ არა განსხვავება რეალურ ცხოვრებაში და ინტერნეტით შეძენილ მეგობრებს შორის? რესპონდენტებმა საკმაოდ კრიტიკული პასუხები გაგვცეს. დაახლოებით 9% თვლის, რომ ინტერნეტით შეძენილი მეგობარი ისეთივე მეგობარია, როგორც რეალურ ცხოვრებაში შეძენილი. რაც შეეხება ინტერნეტით გაცნობილ ადამიანთან დამეგობრებას, 77%-მა გვიპასუხა, რომ მის ახლობელს ჰქონია მსგავსი შემთხვევა. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, მესამე პირში საუბარი რესპონდენტებს უფრო უადვილდებათ და უმეტესობა, შესაძლებელია, საკუთარ თავსაც გულისხმობდა.

ინტერნეტ-მომხმარებლების სამოქალაქო აქტივობები ასაკობრივი ჭრილის მიხედვით გვაქვს წარმოდგენილი: 18-დან 22 წლამდე ახალგაზრდები უფრო მეტად აქტიურები არიან. ინტერნეტის მეშვეობით სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა მდედრობითი სქესის 21%-ს და მამრობითი სქესის 18%-ს მიუღია, რაც ასევე მეტყველებს იმაზე, რომ ამ კუთხით ჩვენი საზოგადოება ძალიან პასიურია. მინდა გითხრათ, სოციალურ ბლოგებსაც საკმაოდ ცოტა ინტერნეტ-მომხმარებელი ეცნობა: ქართულ და უცხოურ ბლოგებს — 19%, მხოლოდ ქართულს კი 17%. რაც შეეხება ელექტრონულ გამოცემებს, მოსახლეობის 52%-მა დადებითი პასუხი გაგვცა. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო სააგენტოების „pressa.ge”-სა და „ინფო 9“-ს სანდოობის თვალსაზრისით საკმაოდ მაღალი პროცენტები აქვთ. ამ შედეგმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თეორია, რომ ადამიანები ესწრაფვიან — ინფორმაცია მიიღონ იმ წყაროდან, რომელიც მათ არგუმენტებს ამართლებს. გამოკითხულმა რესპონდენტებმა სოციალური მედიის განვითარების პოზიტიურ შედეგებად დაასახელეს: მოსახლეობის შემეცნების დონის ამაღლება, დემოკრატიის დონისა და სამოქალაქო აქტივობის ზრდა. ნეგატიურ შედეგად კი მათ, ძირითადად, ვირტუალური რეალობით რეალობის ჩანაცვლება და სანდო ინფორმაციის არჩევა მიიჩნიეს“, — აღნიშნა თსუ-ის მკვლევართა ჯგუფის წევრმა, სოციოლოგიის მაგისტრმა ირაკლი კახიძემ.

კვლევის „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში – რეალური ვირტუალურის ძალაუფლება?“ პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 25 იანვარს გაიმართა. მისი მომზადება შვეიცარიის აკადემიური ქსელი (ASCN) დაფინანსებით გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ეს საქართველოში პირველი სოციოლოგიური კვლევაა, რომელიც სოციალური მედიის ფუნქციების დადგენასა და მისი მომავალი განვითარების ტენდენციების გარკვევის მიზნით ჩატარდა. მისი პირველი ეტაპის თვისებრივი კვლევის ანგარიშის გაცნობა ინტერნეტ-მომხმარებლებს უკვე შეუძლიათ ვებ-გვერდებზე: www.ascn.ch და www.isdi.ge.

საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგები თსუ-დან

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ არსებულ რუბრიკაში — „ხშირად დასმული შეკითხვები“ ვცდილობთ, გავარკვიოთ — თუ რა პრობლემები აქვთ თსუ-ის სტუდენტებს. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც 6-ვე ფაკულტეტის სტუდენტები მუდმივად ასახელებდნენ, პროფესიული პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება გახლდათ. ყველა მათგანი მიიჩნევდა, რომ მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღებით ვერ შეძლებდნენ კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებას. აღნიშნული პრობლემა უნივერსიტეტის ფარგლებსაც სცდება, რადგან ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი დასაქმების ადგილების სიმწირესა და სტუდენტებისთვის სტაჟირების გავლის ნაკლებ შესაძლებლობაზე მეტყველებს. ამ ვითარებიდან გამოსავალი თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტების ჯგუფმა თავად იპოვა.

ნატო ოგოლაძე

გასული წლის 3 აპრილს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტების — თეკლა ჯამრულიძისა და სალომე ქაჯაიას ხელმძღვანელობით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაცია“, რომელმაც მიზნად დაისახა სოციოლოგიისა და სოციალური სამუშაოს პოპულარიზაცია, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადება, ახალგაზრდების თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება, ქართული სოციოლოგიის ინტეგრირება მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში, სოციოლოგიით დაინტერესებული ადამიანებისთვის კვალიფიციური განათლების მიღებაში დახმარება, სოციოლოგთა უფლებების დაცვა როგორც საქართველოში, ასევე, საერთაშორისო დონეზე და საქართველოში დემოკრატიული ღირებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. ასოციაციის ერთერთი პროფილი, გარდა პროფესიული საქმიანობისა, ახალგაზრდა სოციოლოგებისთვის ცხოვრების გამრავალფეროვნებაც გახლავთ.

„როგორც ხედავთ, ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს მკაცრად პროფესიულ და არაპროფესიულ სფეროებსაც. ვფიქრობ ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტები დაეხმარება ახალგაზრდა სოციოლოგებს, რომ თავის პროფესიაში წარმატებას მიაღწიონ. მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი გარემო, სადაც თავის მიზნებისა და იდეების რეალიზებას მოახდენს. ჩვენი ასოციაციისთვის ყველაზე საამაყოა გუნდი, რომელიც აქ მუშაობს“, — განაცხადა „საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“ პრეზიდენტმა თეკლა ჯამრულიძემ.

„ამჟამად ასოციაციაში 70 წევრი ირიცხება. გვაქვს სტატისტიკის, განათლების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, საერთაშორისო ურთიერთობის, კვლევის და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტები. ასოციაციაში თსუ-ის გარდა სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც არიან გაწევრიანებული. ჩვენი ძირითადი მიზანი სოციოლოგიური კვლევების ჩატარებაა, თუმცა ასოციაცია შესაძლებლობას გვაძლევს, რომ სტუდენტებმა თავად შევძლოთ ცხოვრების გამრავალფეროვნება, ამისათვის ვერთვებით სხვადასხვა საგანმანათლებლო და სოციალურ პროექტებში“, — აღნიშნა „საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“ ვიცეპრეზიდენტმა სალომე ქაჯაიამ.

გასული წლის თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. ამის მიზეზი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საარჩევნო პროცესში დამოუკიდებელი კანდიდატების ჩართვაც გახლდათ. „საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“ ერთერთი მნიშვნელოვანი და პირველი პროექტიც სწორედ არჩევნებს უკავშირდება. ასოციაციის წევრებმა წინასაარჩევნო კვლევა განახორციელეს. კვლევის მიზანი გახლდათ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე წინასაარჩევნოდ, მოახლოებულ არჩევნებთან და კანდიდატებთან დაკავშირებით სტუდენტთა განწყობის გარკვევა. შედეგების მიხედვით, 2012 წლის სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ ფაკულტეტზე ახალგაზრდების უმრავლესობა ინფორმირებული იყო, ასევე, უმრავლესობა აპირებდა კენჭისყრის პროცესში მონაწილეობის მიღებას და თვითმმართველობის მუშაობის პრიორიტეტად კი საქმიანობის გამჭვირვალობა დასახელდა. ახალგაზრდა სოციოლოგების მიერ განხორციელებულმა წინასაარჩევნო კვლევამ აჩვენა, თუ რომელ კანდიდატებს ემხრობოდნენ სტუდენტები.

„ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ასეთი პრეცედენტი უნივერსიტეტში არ ყოფილა. არჩევნებისას სიამოვნებით ჩავატარებდით კვლევას მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, მაგრამ დროში ვიყავით შეზღუდულები. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ცესკომ არჩევნებამდე სამი დღით ადრე გამოაქვეყნა კანდიდატების სია. ძალიან ვნერვიულობდით, თუმცა სტუდენტური ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციისგანაც ნდობას ვგრძნობდით. ამ დროს შევიკარით ის გუნდი, რომელიც ახლა ბირთვად ვითვლებით. 2012 წლის ზაფხულში პროექტები არ დაგვიწყია, ეს დრო იდეების გენერირებას და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას მოვანდომეთ“, — გვითხრა თეკლა ჯამრულიძემ.

„საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“ ერთერთი მნიშვნელოვანი პროექტია „სოციოლოგის კლუბი“. კლუბში შეხვედრები ორ კვირაში ერთხელ იმართება და მისი მიზანი სტუდენტებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად სოციოლოგიაში არსებული ფუნდამენტური შრომების მეცნიერული განხილვაა.

„პირველად კლუბში შეხვედრა რომ დაანონსდა, ელექტრონული სააპლიკაციო ფორმების მეშვეობით 200-მდე დასწრების მსურველის განცხადება შემოვიდა. თუმცა ყველა არ მოვიდა, რადგან ჩვენ ასევე გავახმოვანეთ, რომ ვისაც განსახილველი ნაშრომი წაკითხული არ ჰქონდა, არ მოსულიყო. შეხვედრაზე შეიკრიბა როგორც თსუ-ის, ასევე, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, მათ შორის, გვეწვივნენ თელავიდანაც. აღმოჩნდა, რომ სოციოლოგიაში არსებული ფუნდამენტური ნაშრომები, სოციოლოგიის მიმართულების გარდა, სხვა სპეციალობის სტუდენტებსაც აინტერესებთ. ჩვენ ვაგრძელებთ სოციოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე მეცნიერულ მსჯელობას და მის პოპულარიზაციას, რადგან მიგვაჩნია, რომ ამის აუცილებლობა არსებობს“, — აღნიშნავენ ასოციაციის დამფუძნებლები.

მიმდინარე წლის მარტიდან საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგები თსუ-ში კვლევის — „არსებული და სასურველი მდგომარეობის შესახებ უნივერსიტეტში“ დაწყებას გეგმავენ. პირველ ეტაპზე თვისებრივი კვლევა ჩატარდება, რის შემდეგაც ახალგაზრდები მეორე ეტაპის — რაოდენობრივი კვლევის განხორციელებასაც აპირებენ. დაგეგმილის განსახორციელებლად საჭირო ფინანსების მოპოვებისთვის კი ასოციაცია რამდენიმე ფონდთან მოლაპარაკებას უკვე აწარმოებს.

პარალელურად გაგრძელდება „საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე პროექტი, რომელიც საჯარო შეხვედრების ჩატარებას ითვალისწინებს. შეხვედრები საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებთან ეწყობა და სტუდენტების ცხოვრების გამრავალფეროვნებასა და მათი მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებას ემსახურება.

„საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“ ბორდის 2013 წლის პირველ შეკრებაზე მიმდინარე წლის საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად პროფესიული განვითარება განისაზღვრა. სოციოლოგიის მიმართულების პროფესურის ხელშეწყობით იგეგმება ტრენინგ-კურსების ჩატარება და სხვადასხვა პროექტების განხორციელება, რომლებიც ასოციაციის წევრებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარება. მათ შორის საერთაშორისო კავშირების მოძიება და უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობების გაღრმავებაც შედის.

„ჩვენთვის მთავარია, რომ პროფესიულად გავიზარდოთ. ამისათვის კი გვჭირდება იმ ცოდნის მაქსიმალურად შეთვისება, რომელიც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებობს. თუ გინდა, რომ განვითარდე, რა თქმა უნდა, უკეთესისკენ უნდა ისწრაფვოდე“, — აცხადებენ ახალგაზრდა სოციოლოგები.

ПРОФИЛИ

სადაც მივდივარ, ჩემს სათქმელს ვამბობ!

პირველი დოქტორი ქალი ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში — ამ რეგალიის მიღმა დიდი შრომა, მიზანდასახულობა, პროფესიის სიყვარული და ერთგულება იკითხება. თსუ-ის სრული პროფესორი ქეთევან მარშავა 80 მეცნიერული ნაშრომის, 5 მონოგრაფიის, 6 სახელმძღვანელოს ავტორი, მრავალი სადოქტორო თემის ხელმძღვანელი, თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი და ივანე ჯავახიშვილის მედლის მფლობელია. პროფესიულ საქმიანობაში წარმატება ცხოვრებისეული პრობლემების დაძლევაში ეხმარება.

უნივერსიტეტში პირდაპირ ადამიანად იცნობენ და იციან, რომ მისი აზრი ასჯერ აწონილ-დაწონილი და ობიექტურია. ტყუილი არასდროს უთქვამს. დღემდე სწავლობს საკუთარი თავის მართვას და პროფესიული მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავად შრომობს: „ღმერთმა დამიფაროს, რომ 6000 სტუდენტში ჩემი შემცვლელი ვერ გავზარდო, საპენსიო ასაკამდე კიდევ 5 წელი დამრჩა და ამას ნამდვილად მოვახერხებ!“ — ასეთია პროფესორ ქეთევან მარშავას *პედაგოგიური კრედო...*

თამარ დადიანი

— ქალბატონო ქეთევან, როგორ მოხვედით დღევანდელ დღემდე, რა გზა გამოიარეთ?

— ვერ გეტყვით, რომ მდიდარ ოჯახში გავიზარდე. გალში დავიბადე, აფხაზეთში. წერეთლის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ომი რომ დაიწყო, სეპარატისტები მოვიდნენ და მისამართის აბრის ჩამოხსნა უნდოდათ. დედაჩემი ძალიან გააბრაზა ამ ამბავმა, სულ ზეპირად მოუყვა წერეთლის „გამზრდელი“... ასე გადაურჩა აბრაც და დედაჩემიც სეპარატისტების აგრესიას. დედა ძალიან პრინციპული, თავმოყვარე, ამაყი და კაცთმოყვარე ქალია. შვილები ახლაც მორიდებით ველაპარაკებით და ანგარიშს ვუწევთ. იმ მძიმე წლებში თბილისში გადმოვიყვანე, მაგრამ ასე მითხრა: ძველი ხეები გადარგვას არ ექვემდებარებიან, ჩემს სახლ-კარს, წინაპრების საფლავებს ვერ დავტოვებ, უკან უნდა დავბრუნდეო. ახლაც იქ ცხოვრობს.

განათლება ჩვენი ოჯახისთვის პრიორიტეტი იყო. მოგეხსენებათ, საბჭოთა პერიოდში ჩვენს ქვეყანაში როგორი კორუფცია მეფობდა და დედამ გადაწყვიტა, რუსული განათლება მიგვეღო, რათა შემდეგ სწავლა გაგვეგრძელებინა რუსეთში, სადაც საკუთარი ცოდნით განათლების მიღება უფრო ადვილი იყო. სამივე შვილი რუსულ სკოლაში შეგვიყვანა. თვითონ ქართულის მასწავლებელი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში გავაგრძელე. ამდენად, დედაჩემის დამსახურებაა, რომ სამივე შვილი დღეს მეცნიერი ჰყავს. შემდგომ ტრადიცია გაგრძელდა — ჩემი გოგონაც დოქტორია, ჩემი ძმისშვილიც...

მამა იურისტი იყო, მაგრამ პროფესიით არ მუშაობდა. კოლორიტული პიროვნება გახლდათ, მონადირე... ასეთი ამბავი მახსენდება: მამა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა სამეურნეო დარგში. მძღოლი ჰყავდა ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც შემდეგ მონათლა. როცა ვკითხე: — მამა, რატომ მონათლე შენი მძღოლი-მეთქი? მიპასუხა: — ძალიან ღარიბი ბიჭია, ახალგაზრდა ცოლი და პატარა შვილი ჰყავს. ერთხელ პერანგი ვუყიდე, მერე — ფეხსაცმელი და ძალიან შერცხვა. ახლა კი ჩემი მონათლული რომ იქნება, აღარ შერცხვება და მეც თამამად ვუყიდი ყველაფერსო. აი, ასეთი დამოკიდებულება იყო ჩვენს ოჯახში ადამიანების მიმართ. დედას ახლაც დღეში ორჯერ ვურეკავ, დილას და საღამოს. იუმორით სავსე ქალია. დილით, როცა მოვიკითხავ, ეცინება: ალბათ მამოწმებ, ცოცხალი ვარ თუ არაო.

— ბავშვობა და ახალგაზრდობა ალბათ აფხაზეთთან ერთად გაატარეთ. რა დამოკიდებულება იყო მაშინ? იგრძნობოდა რაიმე აგრესია ან არაკეთილგანწყობა?

— არც ახლა გვაქვს ცუდი დამოკიდებულება ერთმანეთთან. ომის შემდეგაც ბევრჯერ ვყოფილვარ იქ. ჩემმა ძმამ თავის ბიჭს ქორწილი გალში გადაუხადა — აფხაზებმა უნდა ნახონ, რომ მე აქ დავბრუნდებიო. გალში, საერთოდ, ცოტა აფხაზი ცხოვრობს. სანამ მეცნიერი გავხდებოდი, გალის რაიონში, ცეკავშირის სისტემაში საპასუხისმგებლო ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვიმუშავე. ამიტომ იქ ყველა მიცნობს. ომის შემდეგ აფხაზებს უკითხავთ: სად არის ის ღირსეული ქალბატონი, რომელიც ამა და ამ ადგილებზე მუშაობდა, რამე პრობლემა ხომ არა აქვს, დავეხმარებითო. როგორც ხედავთ, კარგი აფხაზებიც არიან. საერთოდ, ცუდი ერი არ არსებობს. ჩემი ძმა სოხუმში, აფხაზურ სოფლებში ახლაც ჩადის და ოპერაციებს აკეთებს. 20 წლის განმავლობაში, დაახლოებით, 4000 ოპერაცია აქვს უანგაროდ გაკეთებული. აფხაზეთში მას ასე მოიხსენიებენ: “ნაშბოგ“ და გულთბილად ხვდებიან. ქართველებს და აფხაზებს გალში ნორმალური ურთიერთობა აქვთ. ადრე უფრო იგრძნობოდა დაძაბულობა. თვითონ აფხაზებიც ხვდებიან, რაც დაემართათ, როგორ განადგურდა მათი გენოფონდი... იმედი მაქვს, ყველაფერი მოწესრიგდება. ჩემი ქალიშვილი სოხუმში დაიბადა, IV კლასამდე გალში სწავლობდა და ყველაფერი ახსოვს. როცა ბაბუა გარდაიცვალა, მთხოვა, ჩვენი სახლი მანახე, სადაც გავიზარდეო. იქ ახლა აფხაზები ცხოვრობენ. სახლთან მივიყვანე, აფხაზებს ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი: აქ ჩვენ ვცხოვრობდით, ჩემს ქალიშვილს ბავშვობა ამ სახლში აქვს გატარებული, ძალიან მოენატრა აქაურობა და ამიტომ მოვედით-მეთქი. მასპინძლებმა თბილად მიგვიღეს და შემოგვთავაზეს, თუ სურვილი გაქვთ, ღამე აქ გაათიეთო.

— რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი?

— თავიდან ძალიან მინდოდა იურისტი გავმხდარიყავი. ჩემი და როსტოვში სწავლობდა და იქ ჩავედი სწავლის გასაგრძელებლად. მოხდა ისე, რომ იგი ფეხმძიმობის გამო საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო. ბინა დამიქირავა და მითხრა, უნივერსიტეტში საბუთები შეიტანე და თავს მიხედეო. მთელი დღე ვიარე როსტოვში, მაგრამ ის ინსტიტუტი ვერ ვიპოვე, რომელიც მინდოდა. ძებნის გაგრძელება დამეზარა... უცებ სახალხო მეურნეობის ინსტიტუტს წავაწყდი, და საბუთები ეკონომიკურ ფაკულტეტზე შევიტანე. ეს ფაკულტეტი დიდად არ მომწონდა. მაგრამ უკან დაბრუნებაც არ მინდოდა. ბოლოს მოსკოვის ფილიალში გადავედი და უნივერსიტეტი, ექსტერნად, 2 წელიწადში დავამთავრე. საბჭოთა პერიოდი იყო და არ შეიძლებოდა 18 წლის ახალგაზრდას უნივერსიტეტის დიპლომი აეღო. ჩემი საბუთები შესამოწმებლად გაგზავნეს. მხოლოდ 6 თვის მერე დამიშვეს სახელმწიფო გამოცდაზე. ასე დავამთავრე უნივერსიტეტი. ამასობაში ჩემმა ძმამაც დაამთავრა სკოლა და სასწავლებლად სარატოვში წავიდა. მეც გავყევი. ჩემმა ძმამ მითხრა: შენ ხომ იურისტობა გინდოდა, მოდი, შენც გაიჩინე საქმე და იურიდიულზე ჩააბარეო. ასე აღმოვჩნდი სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის II კურსზე. იურისტის პროფესია ძალიან მომწონს და, სხვათა შორის, ჩემს ძირითად საქმიანობაშიც მეხმარება.

— რამ განაპირობა თქვენი მეცნიერებაში წასვლის გადაწყვეტილება?

— თავიდან არც ვაპირებდი მეცნიერებაში წასვლას. მამაჩემს ერთი მეგობარი ჰყავდა. ამ კაცს ცოცხალ ენციკლოპედიას ეძახდნენ, გარეგნულადაც სიმპათიური გახლდათ, კრისტალურად დახვეწილი და განათლებული. აფხაზეთის კოოპკავშირის ხელმძღვანელად მუშაობდა. ერთ დღეს ეს ადამიანი გვესტუმრა და სამსახური შემომთავაზა. გავბედე და დავიწყე მუშაობა რაიკავშირის თავმჯდომარის მოადგილედ. თავიდან ყველაფერი ჯოჯოხეთად მომეჩვენა. ვაჭრებთან მუშაობა ადვილი არ გამოდგა, მაგრამ სიძნელეების დაძლევაში მთელი ოჯახი მეხმარებოდა. ძალიან აქტიური და მოწადინებული ვიყავი, ვაჭრობის დარგში სულ სიახლეები შემქონდა... სამ თვეში ისე კარგად ავითვისე ეს საქმე, რომ „პროფესორი“ დამარქვეს. გამგეობის უზარმაზარ სხდომებზე რომ შევდიოდი, „პრაფესორი“ მოვიდაო, ამბობდნენ. მრცხვენოდა და თავს უხერხულად ვგრძნობდი. ერთხელ, ჩემმა ძმამ მითხრა, შენ მგონი მართლა პროფესორი უნდა გამოხვიდეო. ვხედავდი, რომ პროფესორებს კარგი ანაზღაურება ჰქონდათ, კარგად ცხოვრობდნენ და ვიფიქრე: ხომ შეიძლება, ღარიბმა სტუდენტმაც მიაღწიოს წარმატებას-მეთქი? მომწონდა, პროფესორებს ყველა ანგარიშს რომ უწევდა, რჩევას ეკითხებოდა, პატივს სცემდა. ასე გადავწყვიტე მეცნიერებას დავუფლებოდი.

თსუ-ის ასპირანტურაში ეკონომიკის კათედრაზე მაძიებლად

გავფორმდი, მომეწონა აქაური გარემო, დისერტაციაც მალევე დავიცავი... იმდენად რეიტინგული ასპირანტი ვიყავი, რომ უნივერსიტეტში, სტატისტიკის დარგში, დაცვის საბჭოც კი შექმნეს.

ორი წლის განმავლობაში ბევრი სამეცნიერო ნაშრომი დამიგროვდა. სწავლა დოქტორანტურაში გავაგრძელე. ამან პრობლემა შემიქმნა სამსახურში. როგორც დოქტორანტი, ერთი წლით მოსკოვში უნდა წავსულიყავი. იმ დროს ცეკავშირის სისტემაში ვმუშაობდი და ადგილის დაკარგვა არ მინდოდა. ჩემი კათედრის გამგის დახმარებით ადგილიც შემინარჩუნდა და მოსკოვშიც წავედი. მაშინ საბჭოთა კავშირის სივრცეში ეს იყო დაუჯერებელი რამ, რომ ვაჭრობის მუშაკი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი ყოფილიყო. პირველი დოქტორი ქალი ვარ საქართველოში ეკონომიკის დარგში. ეს ჩემი დამსახურება კი არ არის, უბრალოდ, სხვები პასიურობდნენ.

— რამ განაპირობა თქვენი პროფესიული წარმატება?

— წარუმატებლობაც ბევრი მქონდა... ეკონომიკის ფაკულტეტზე პირდაპირ სრულ პროფესორად დავიწყე მუშაობა. 2009 წლის კონკურსის გავლის შემდეგ კი ასოცირებულ პროფესორად ამირჩიეს. მაშინ 55 წლის ვიყავი და შეურაცხყოფილი დავრჩი — ვფიქრობდი, რატომ ვერ დამაფასეს-მეთქი? გეფიცებით, ბევრჯერ გადავწყვიტე აქაურობა მიმეტოვებინა, მაგრამ ვერ შევძელი... თსუ-ის პროფესორობა დიდი პატივია, მაგრამ ამისთვის ჯოჯოხეთი გამოვიარე... საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ვუდგები. თუ ლექცია არ გამომივიდა, განვიცდი...

კარგია, რომ უნივერსიტეტში მიდგომები უკეთესობისკენ შეიცვალა. ჩემს დოქტორანტებს ყველანაირად ვუწყობ ხელს საკუთარი თავის რეალიზებისთვის. მალე, ალბათ, ემერიტუსობას მომცემენ, სტაჟიც მაქვს და დამსახურებაც. თაობათა ცვლა კანონზომიერებაა.

— რამდენად პრინციპული ხართ?

— არასდროს არავინ მომიტყუებია. ძალიან პატარა ვიყავი და ფული მიყვარდა. რომელ პატარას არ უყვარს? ერთხელ მამაჩემმა სახლში ხის მორები მოიტანა და ეზოში დაყარა. თან ბავშვებს გვითხრა: თუ ამ მორებს სხვა ადგილას გადაიტანთ, საღამოს ფულს გაჩუქებთო. ავდექი და ეს მორები სათითაოდ გადავიტანე მონიშნულ ადგილას. საღამოს მამის მოსვლას ველოდები, რომ ფული მომცეს... მოვიდა, შემაქო, მაგრამ ფული არ მომცა. ასე მითხრა: ამ შეშით შენც ხომ უნდა გათბეო... ასე გაწბილებული დავწექი. მეორე დღეს კი სკოლაში აღარ წავედი — ზურგი მტკივა მორების თრევით-მეთქი. როცა სახლიდან ყველა წავიდა, მორები ძველ ადგილზე დავაბრუნე. ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ ვნახე მამა მტირალი — ეს რა დამემართა, მოვკალი ბავშვიო. იმის შემდეგ სახლში აღარავის მოუტყუებივარ. მიხვდნენ, რომ ასეთი ხასიათი მქონდა.

როცა აკადემიური საბჭოს სხდომებზე ესა თუ ის საკითხი განიხილება, რექტორი კითხულობს: ქალბატონმა ქეთევანმა თუ წაიკითხა? რადგან იციან, რომ მე ამ საკითხს ერთხელ კი არა, ბევრჯერ წავიკითხავ და ჩავუღრმავდები, თუკი რამე უზუსტობაა, აუცილებლად ვიტყვი და გავახმოვანებ.

— რა არის ის, რამაც შეიძლება დაგაკომპლექსოთ?

— თუ ისეთ სიტუაციაში მოვხვდი, სადაც კომპეტენტური არ ვარ, გამორიცხულია, რომ იქ კარგად ვიგრძნო თავი. ამ დროს ეშმაკობას მივმართავ და იქაურობას ვტოვებ. აკადემიური საბჭოს სხდომებზე ხშირად ვაკეთებ ამას. თუ დავრჩი, მაშინ სიმართლე უნდა ვთქვა. ასეთი მოვწონვარ ჩემს ახლობლებს და ეს დისკომფორტს სრულებით არ მიქმნის. ხანდახან ზედმეტიც მომდის და ეს მერე მაკომპლექსებს. როცა ივანე ჯავახიშვილის მედალი მომცეს, აი, მაშინ გამიჩნდა კომპლექსი. მეკუთვნოდა კი ასეთი პატივი? — მეუხერხულა. აგვისტოში 60 წელი შემისრულდა და მედლის გადმოცემა იუბილეს დაუკავშირეს.

— თქვენ თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი ბრძანდებით, იკვლევდით თსუ-ის კონკურენტულ გარემოსა და პრობლემებს. რა საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა ამ მიმართულებით?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კონკურენტი არ ჰყავს. ჩვენ ვართ პირველი ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ მისახედია ანაზღაურების განაწილების სისტემა. აუცილებელია კარგი სახელმძღვანელოები ვთარგმნოთ და შევქმნათ. თვითონ ამის გაკეთება გვიჭირს, რადგან ბაზები არ გაგვაჩნია. უნივერსიტეტში განათლების ევროპულ დონეს რომ ითხოვენ, მაშინ პროფესურას ევროპული ანაზღაურებაც უნდა ჰქონდეს და იქაური სამუშაო პირობებიც. ის კონცეფცია, რომელიც გია დვალმა წარმოადგინა, მიმაჩნია, რომ რეალობასთან ახლოს არ არის. მე მას დიდ პატივს ვცემ როგორც მეცნიერს, მაგრამ კონცეფცია უფრო ვირტუალურია, ვიდრე რეალური. დავიჯერო, უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტი ჩემზე უკეთ იცნობს აქაურ მოთხოვნებს? ისევე დაიხარჯება, როგორც მე? პოლიტიკაში არ ვერევი, მაგრამ სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს ეს საკითხები.

— რას აფასებთ ადამიანში ყველაზე მეტად?

— გულწრფელობას. ხანდახან ვხუმრობ ხოლმე, მსოფლიოში მესამე ადგილი მიკავია ერთგულებით. პირველი არის ძაღლი, მეორე — ცხენი და მესამე — მე. ბოლომდე ერთგული ვარ საქმის, ადამიანის. ერთგულების გამო შეიძლება ისეთი რამეც გავაკეთო, რომელიც არასწორად მიმაჩნია, მაგრამ ამ პრინციპს ვერ ვღალატობ...

— რის გეშინიათ ყველაზე მეტად?

— ისეთი ადამიანებისგან ღალატის, რომლისგანაც არ ელოდები. მინდა, ჩემს ირგვლივ ადამიანებს სიდუხჭირე არ ჰქონდეთ. დღეს ხელფასს რომ ვიღებ, ნახევარს ვარიგებ. მიყვარს საჩუქრების გაცემა და მიხარია, რომ ამით ვიღაცას ვახარებ. ვერ ვიტყვი, რომ უბედური ვარ, მაგრამ სიმწარეც ბევრი გამოვიარე. მყავს მეუღლე, ჭკვიანი და არაჩვეულებრივი ქალიშვილი, ბევრი ნათესავი და ახლობელი. საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება მაქვს.

— როგორ შეაფასებთ განვლილ ცხოვრებას?

— ახალგაზრდობის წლებს ნამდვილად არ დავიბრუნებდი. იმდენი დაბრკოლება შემხვდა ცხოვრების გზაზე, რომ აღარ მინდა იგივე გამოვიარო... მინდა, ლაღად ვიცხოვრო, ბევრი თავისუფალი დრო მქონდეს, რათა საყვარელი საქმე ვაკეთო.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲣᲠᲐᲛ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ 95 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95-ე წლისთავის აღსანიშნავად 8 თებერვალს I კორპუსის წინ შეიკრიბნენ ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც 2006 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ უნივერსიტეტის მიღმა დარჩნენ.

მათ ყვავილებით შეამკეს ივანე ჯავახიშვილის ძეგლი და დაესწრნენ დავით აღმაშენებლის სულის მოსახსენებელ პარაკლისს.

შეკრებილ საზოგადოებას მიმართეს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ჯემალ მებონიამ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დავით ქარქაშაძემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბიძინა სავანელმა; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა თენგიზ მეუნარგიამ, ფიზიკოსმა ეველინა დავითულიანმა.

ჯემალ მებონიამ საზოგადოებას მიულოცა უნივერსიტეტის დაარსებიდან 95-ე წლისთავი და განაცხადა, რომ უნივერსიტეტის აღორძინება იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც არასამართლებრივი მეთოდებით ჩამოაშორეს საუნივერსიტეტო ცხოვრებას, შეუძლებელია: „მიმაჩნია, რომ პროცესების დარეგულირება ძველ კადრებთან თანამშრომლობით უნდა მოხდეს. არ ვარ იმის მომხრე, რომ დღესაც ისე მოექცნენ უნივერსიტეტის პროფესორებს, როგორც ჩვენ მოგვექცნენ, მაგრამ მოგვცენ საშუალება, მათთან თანაბარ პირობებში ჩადგომისა. ის პროფესურა, რომელმაც თავის დროზე უნივერსიტეტის ღირსების დაცვა მოინდომა, ცოცხალია და სურს, თავისი წვლილი შეიტანოს საგანმანათლებლო სისტემის აღორძინებაში. ამისთვის საჭიროა მთლიანად შეიცვალოს სისტემა, რისთვისაც ხელისუფლებას ვთავაზობთ – გამოაცხადოს გარდამავალი პერიოდი, შეიცვალოს სტრუქტურები, საგანმანათლებლო კონცეფცია, პროგრამები და მხოლოდ ამის შემდეგ, თანაბარ საწყისებზე მოხდეს უნივერსიტეტის ახალი კონტინგენტის არჩევა“, — განაცხადა მან.

გიორგი გოგოლაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბოლო წლებში გატარებული არასწორი რეფორმის შედეგად არარეიტინგული გახდა. „ჩვენ უნდა ვამხილოთ ყველა ის, ვინც უკანონობა ჩაიდინა. მათ მორალური პასუხი უნდა აგონ მომავალი თაობის და უნივერსიტეტის წინაშე. მიმაჩნია, რომ დანგრეული უნდა აღდგეს, დაკარგული უნდა განახლდეს და ამისთვის ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს. არსებობს ძეგლები, რომლებიც ეპოქასთან გაიგივდება ხოლმე, ასეთია XI საუკუნიდან — „სვეტიცხოველი“, XII საუკუნიდან — „გელათი“ და XX საუკუნიდან კი — ქართული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი უნდა გადარჩეს!“, – აღნიშნა გიორგი გოგოლაშვილმა.

დავით ქარქაშაძემ პროფესორ-მასწავლებლებს გააცნო ის სამართლებრივი შედეგები, რომელიც 2006 წელს უნივერსიტეტიდან პროფესორ-მასწავლებელთა გათავისუფლების საქმეს მოჰყვა და შესთავაზა, რომ დოკუმენტაცია (დაახლოებით 50 ტომი), რომელიც საქართველოში 2006-29912 წლებში ჩატარებულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო რეფორმებს შეეხება, განსახილველად გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, საქართველოს მთავარ პროკურორს, პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს: „მოვითხოვთ, მიეცეს მკაცრი სამართლებრივი შეფასება ყოფილი ხელისუფლების მიერ სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემაში ჩატარებულ რეფორმას“, — განაცხადა დავით ქარქაშაძემ.

ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲛᲦᲕᲘᲛᲔᲡ „ᲗᲡᲣ-95“ ᲣᲬᲝᲓᲔᲡ

ჭიათურის მუნიციპალიტეტში, მდინარე ყვირილას ხეობაში, თსუ-ის მეცნიერების მიერ ახლად აღმოჩენილ მღვიმეს „თსუ — 95“ ეწოდა, ამ სახელის მინიჭება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წელს უკავშირდება. მღვიმე თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორმა, გეოგრაფმა გიორგი დვალაშვილმა აღმოაჩინა, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად მოხდა. სამეცნიერო ექსპედიციაში მასთან ერთად თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. მღვიმე არა მარტო გეოგრაფებისა და გეოლოგების ყურადღებას იქცევს, არამედ მისი შესწავლით არქეოლოგებიც დაინტერესდებიან.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

სპეციალისტების სურვილია მღვიმე სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნითაც გამოიყენონ. აქ შესაძლებელია საველე ლექციები ჩატარდეს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის. სავარაუდოდ, ადგილზე მღვიმური ტურიზმიც განვითარდება, რადგან ჭიათურის ტერიტორიაზე მრავალი მსგავსი მღვიმე და გამოქვაბულია აღმოჩენილი. არქეოლოგების ვარაუდით, მღვიმეში ადამიანები ჯერ კიდევ 35000 წლის წინ, ზედა პალეოლითის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყვნენ. თუმცა, ალბათობა დიდია, რომ ეს მღვიმე პალეოლითის ხანამდეც არსებობდა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ გაზაფხულზე მღვიმის კომპლექსური კვლევა უნდა ჩატარდეს, რათა არქეოლოგიურ გათხრების შემდეგ ადგილზე მნიშვნელოვანი ნივთების აღმოჩენაა შესაძლებელი.

მღვიმის აღმოჩენის ისტორიისა და კვლევის შესახებ გვესაუბრება თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი, გეოგრაფი გიორგი დვალაშვილი:

— 1997 წელს, როცა სამაგისტრო თემაზე ვმუშაობდი ჭიათურის რაიონის შესწავლა მომინია. საერთოდ, ამ რეგიონში 100-ზე მეტი მღვიმეა და ჩემი თემაც მღვიმეების შესწავლას ეხებოდა. იმ დროისათვის ადგილობრივ მოსახლეებს შევხვდი რომლებმაც მითხრეს — მდინარე ყვირილას ნაპირზე პატარა მღვიმე არსებობსო. მღვიმესთან მიახლოება შესაძლებელია საბაგირო გზით, ხოლო დანარჩენი 400 მეტრიანი მონაკვეთი ფეხით უნდა გაიარო. მაშინ ამ უსახელო მღვიმეში, დაახლოებით 30 მეტრ სიღრმემდე ჩასვლა მოვახერხეთ, ყოველგვარი სპეციალური აღჭურვილობის გარეშე და ვნახეთ, რომ გეოგრაფიული შესწავლის კუთხით, საინტერესო მღვიმე იყო. მღვიმის შესწავლა შემდგომ აღარ გაგრძელებულა, რადგან არც სპეციალური აღჭურვილობა გვქონდა და არც კვლევისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობები. მოკლედ, ეს მღვიმე ჩვენი კვლევების მიღმა დარჩა.

გასულ წელს, თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად, ისევ მომიწია ამ ტერიტორიების დაზვერვა და ვნახეთ, რომ მღვიმე ისევ პირვანდელ მდგომარეობაში იყო. საერთოდ, ამ რეგიონის კვლევაზე ბევრი ცნობილი მეცნიერი მუშაობდა, კერძოდ ლევან მარუაშვილი, შალვა ყიფიანი, ზურაბ ტატაშიძე, კუკური წიქარიშვილი, ზაზა ლეჟავა და სხვები, მაგრამ არც ერთი მეცნიერის კვლევაში ეს მღვიმე აღწერილი და შესწავლილი არ იყო. ალბათ, იმიტომ რომ მღვიმეს ვიწრო შესასვლელი აქვს, რომელიც მთლიანად ეკალ-ბარდებით არის დაფარული და მდინარის ხეობიდან არც კი ჩანს. მღვიმის ვიწრო შესასვლელი დაბალი მღვიმიდან უფრო ვრცელ დარბაზში გადადის, სადაც რამდენიმე განშტოებაა. წინა მონაკვეთი სიმშრალით გამოირჩევა, მერე კი შედარებით სველია. მღვიმეში ღამურები და მწერები ბინადრობენ. სართულებიან დარბაზში სტალაქტიტები და სტალაგმიტებია. საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ ეს ბუნებრივი წარმონაქმნები არა მარტო გეოგრაფიული, არამედ გეოლოგიური, გეოფიზიკური, არქეოლოგიური და ბიოლოგიური შესწავლის თვალსაზრისითაც საინტერესოა. მღვიმის შესასვლელი თავისი აგებულებით იძლევა იმის ვარაუდს, რომ იქ შეიძლება პირველყოფილ ადამიანს ეცხოვრა. ამ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ მდინარე ყვირილას ხეობაში აღმოჩენილია ბევრი ისეთი მღვიმე, სადაც საინტერესო არქეოლოგიური ნიმუშები არის გამოვლენილი. აღმოჩენისას მათი ასაკი, დაახლოებით, 50000-40000 წლის დიაპაზონში მერყეობს. ამ ტერიტორიიდან ახლოს არის ის მღვიმეც, სადაც მსოფლიოში ყველაზე ძველი ძაფი აღმოაჩინეს, რომელიც დაახლოებით 34000 წელს ითვლის. პირველყოფილი ადამიანისთვის ხელსაყრელი იყო ამ მღვიმეში ცხოვრება, ვინაიდან შესასვლელი მშრალი იყო და თუ ადამიანი სიღრმეში ჩავიდოდა, იქ წყლის მარაგსაც შეავსებდა.

მღვიმის სიღრმეში ძლიერი ქარი უბერავს და ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მას გასასვლელი შეიძლება ჰქონდეს ყვირილას ხეობაში. აქვეა კლდე, სადაც უძველესი ნაგებობა არის ამოშენებული და ვფიქრობთ, შესაძლებელია ეს მღვიმე მასაც უკავშირდებოდეს. ვინც ამ კლდეს ასე ამოაშენებდა, ალბათ, სადგომადაც გამოიყენებდა. როგორც დავაზუსტე, ის ნაგებობა მეცნიერულად ჯერ არ არის შესწავლილი. საერთოდ, მღვიმის შესწავლას ერთი და ორი ექსპედიცია არ ყოფნის. გადაწყვეტილი გვაქვს ამ გაზაფხულზე კომპლექსური კვლევა დავიწყოთ.

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲗᲡᲣ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის — „თსუ მეცნიერება“ მესამე ნომრის პრეზენტაცია, რომელიც უნივერსიტეტის 95 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო. ჟურნალში მოცემულია ინფორმაცია იმ მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების შესახებ, რომლებიც თსუ-ის ფაკულტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარეობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს მასშტაბით განხორციელებული კვლევების 35-40% ხორციელდება, ჟურნალი „თსუ მეცნიერება“ მკითხველს, გარკვეულწილად, ქვეყანაში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობის შესახებაც ანვდის ინფორმაციას.

ჟურნალში „თსუ მეცნიერება“ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს სტატიას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის ნანა სუმბაძის კვლევის შესახებ - „თაობები და ღირებულებები“. კვლევა 2011-2012 წლებში ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით განხორციელდა. მის მიზანს სხვადასხვა თაობის ღირებულებათა შესწავლა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გამოწვევების იდენტიფიკაცია წარმოადგენდა.

ჟურნალში, ასევე, გამოქვეყნებულია მასალა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის თამაზ მძინარაშვილის ნაშრომის „ბაქტერიოფაგებისა და ანტიბიოტიკების კონცენტრაციის ეფექტი ბაქტერიების ზრდასთან მიმართებაში“ თაობაზე. აღნიშნული სამეცნიერო კვლევა თსუ-ის მეცნიერთა მიერ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შესრულდა. კვლევის განხორციელების აუცილებლობა მეცნიერებმა დედამიწაზე ბაქტერიების მაღალი რიცხოვნობით ახსნეს, რომელიც გამრავლებული ინფექციური დაავადებების გამომწვევები არიან და ადამიანთა ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან. „თუ კაცობრიობა ბაქტერიებს კარგად არ შეისწავლის, შესაძლოა დედამიწაზე მხოლოდ მიკრობებმა იარსებონ“ — ასეთია თსუ-ის მეცნიერების მოსაზრება.

„თსუ მეცნიერება“ მკითხველს საშუალებას აძლევს, ასევე მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 6-ვე ფაკულტეტზე 2012 წელს დაცული დისერტაციებისა და 2012 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით თსუ-ში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციების შესახებ.

„ყველა კვლევა, რომელიც ამ ჟურნალშია მოცემული, განხორციელებულია საერთაშორისო გრანტით, ან მას საერთაშორისო კონფერენციაზე აღიარება აქვს მოპოვებული. ამ ნომერში ცოტა მეტი დოზით არის წარმოდგენილი თსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობა. შევეცადეთ, რომ დაგვეფარა აბსოლუტურად ყველა სფერო — დაწყებული მონეტების ისტორიით, დამთავრებული კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ქიმიკოსების მიერ მიღწეული წარმატებებით, ჟურნალში საუბარია იმ კვლევებზე, რომლებიც იურიდიულ ფაკულტეტზე მიმდინარეობს და ძალიან სერიოზული დასკვნებია გაკეთებული, თუ რა შედეგი გამოიღო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრებამ საქართველოში. ჩვენი ჟურნალის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ არის მონოთემატური“, — განაცხადა ჟურნალის „თსუ მეცნიერების“ რედაქტორმა თამარ ხორბალაძემ.

„თსუ მეცნიერება“ საქართველოს ყველა ბიბლიოთეკაში ვრცელდება და საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში იგზავნება. მისი მთავარი დანიშნულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ სამეცნიერო წრეებისთვის და, ზოგადად, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და პოპულარიზაცია გახლავთ.

ჟურნალის — „თსუ მეცნიერება“ მესამე ნომრის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 5 თებერვალს გაიმართა. ღონისძიებას აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

სტუდია „მემატიანე“ მატიანედ ქცეულ წლებზე

„ჩვენ გავდივართ ეთერში“ — ეს წარწერა უნივერსიტეტის VI კორპუსის ერთერთი აუდიტორიის კედელზე ჯერ კიდევ იმ დროს გაჩნდა, როდესაც საქართველოში „ცისფერი ეკრანი“ „ახალფეხადგმული” იყო. ამიტომ ეს მოვლენა სენსაციად აღიქვა მაშინდელმა ქართულმა საზოგადოებამ. 1969 წელს დაარსებული თსუ-ის კინო-ტელე-ლაბორატორია წლების მანძილზე უნივერსიტეტის ნამდვილ მემატიანედ იქცა. სტუდენტების მიერ გადაღებულმა ფილმმა შემოგვინახა კადრები, თუ როგორ შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი სასწავლო ტელე-სტუდია.

შურთხია ბერეშვილი

„დღეს ხუთშაბათობაა... ასე დაიწყო ჩვენი შემოქმედებითი წვა... მხატვარი მტვირთავი გახდა, კინოოპერატორი — მხეხავი, რედაქტორები ბეტონის ხსნარს ამზადებდნენ. გამნათებლები და რეჟისორები მოპირკეთებაზე მუშაობდნენ, ეწაფებოდნენ სხვადასხვა სამშენებლო სპეციალობას, აპარატურის დამონტაჟებას, გამართვასა და კორექციას, კავშირგაბმულობას ინჟინერთა ბრიგადა აწარმოებდა“.

„ხუთშაბათობების“ დასრულების შემდეგ კი პირველი ეთერიც შედგა. ყველაფერი კი ასე დაიწყო...

1968 წელს თსუ-ში, კერძოდ, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ჟურნალისტიკის განყოფილებაზე დაიბადა კინო-ლაბორატორიის დაარსების იდეა, რომელიც თსუ-ის რექტორის ილია ვეკუას, საქართველოს განათლების მინისტრის, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის და ჟურნალისტიკის განყოფილების გამგის, პროფესორ დავით გამეზარდაშვილის თაოსნობით განხორციელდა. 1969 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა საუნივერსიტეტო კინო-ტელე-სასწავლო ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელად პროფესორი დავით გამეზარდაშვილი დაინიშნა, ხოლო გამგედ — პროფესორი თამაზ ქვარიანი. ამ თაოსნობას მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა, პირველ რიგში კი სტუდენტები, რომლებიც თავიდანვე აქტიურად ჩაერთნენ ახალი სტუდიის შექმნაში. მათ ხალისით გადმოზიდეს ტელევიზიიდან და კინოსტუდია „ქართული ფილმიდან“ ძველი აპარატურა და სულ მალე ნამდვილი ეთერიც შედგა.

„უჩვენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, — ამ ქუდით გადიოდა გადაცემები პირველი კორპუსის აუდიტორიებში გაჭიმული კაბელის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ მაშინდელმა ხელმძღვანელობამ თავიდანვე გამოკვეთა და განსაზღვრა მიზანი — რას უნდა მომსახურებოდა და რა უნდა გაეკეთებინა ამ სტუდიას. მისი ფუნქცია განისაზღვრა ორი ძირითადი მიმართულებით: სასწავლო პროცესის ასახვა, ვიზუალური მასალების გამოყენება და მეორე — უნდა შექმნილიყო უნივერსიტეტის ისტორია, კინო-მატიანე — მოკლედ, ყველაფერი, რაც უნივერსიტეტს უკავშირდებოდა. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დაიწყო დოკუმენტალურ-ქრონიკალური, სასწავლო ფილმების და, ამასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელთა და სახელოვან მეცნიერთა ისტორიის შექმნა.

კინო-ტელე-ლაბორატორიის ბაზაზე არსებული სლაიდების განყოფილება და ფოტო ლაბორატორია თავისი პროდუქციით სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, საუნივერსიტეტო თუ სხვა კულტურული ღონისძიებების გადაღებას უზრუნველყოფდა. უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ დასტამბული რამდენიმე წიგნი ლაბორატორიაში დამზადებული ფოტოსურათებითაა გაფორმებული. 1975-1979 წლებში კინო-ტელე-ლაბორატორიამ საკუთარი ძალებით გამართა შიდასაუნივერსიტეტო ტელექესელი. პირველი კორპუსის რამდენიმე აუდიტორია ტელეფიცირებული იყო და გადაიცემოდა სასწავლო და შემეცნებითი გადაცემები. 1975-1987 წლებში კი მისაღები გამოცდების ჩვენების მიზნით ლაბორატორიის მიერ ტელეფიცირებული იყო თსუ-ის მაღლივი კორპუსი. 80-იანი წლებიდან ლაბორატორია ახალი ვიდეო აპარატურით აღიჭურვა და მისი საქმიანობა ბევრად ნაყოფიერი გახდა. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო მოვლენა, რომელიც ვიდეო თუ ფოტოფირზე არ აღბეჭდილა.

კინო-ტელე-ლაბორატორიის ერთერთ პირველ თანამშრომელს და შემდგომში მის ხელმძღვანელს — ალექსანდრე უნაფქოშვილს ამ წლების მანძილზე ბევრი მოგონება დაუგროვდა. ჯერ კიდევ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როდესაც ლაბორატორიის თანამშრომელი გახდა და იმ დღიდან უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა მოვლენას თავისი კამერით „თვალს ადევნებს“. მისივე ინფორმაციით, კინო-ტელე-ლაბორატორიის შექმნას წინ უძღოდა კინო-ფოტო კაბინეტის დაარსება, რომელიც გულბაათ აბელიშვილს სახელს უკავშირდება. სწორედ მან გადაიღო 1958 წელს პირველი სამოყვარულეო ფილმი, შემდეგ კი კინო-ტელე-ლაბორატორიის შექმნის იდეაც გაჩნდა. ასეთი პრეცედენტი, რომ უმაღლეს სასწავლებელს ჰქონოდა თავისი სტუდია, საბჭოთა კავშირის მასშტაბით არ არსებობდა.

„პირველი თანამშრომლები სტუდენტები ვიყავით. შეიქმნა ოპერატორის, რედაქტორის, რეჟისორის შტატები. ჩემთან ერთად მუშაობდნენ გულბათ აბელიშვილი, გოგი მანჯგალაძე, ჯონი თარხნიშვილი, ზაალ კაკაბაძე, სოსო ჩხეიძე, იგორ არაყიშვილი, ნიკოლოზ გროზნოვი, ირაკლი ტრიპოლსკი, მიშა კვაჭაძე, გოგი ჩარაშვილი და სხვები. თავდაპირველად საცდელ გადაცემებს ვაკეთებდით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა ტელევიზიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებითაც, გვინდოდა ეთერში გავსულიყავით სახელმწიფო ტელევიზიის მეშვეობით, მაგრამ აპარატურა ძველი იყო და ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა. დაარსების დღიდან რედაქტორის და ფოტო-რეპორტიორის მოვალეობას ვასრულებდი, 1985 წელს კი ლაბორატორიის უფროსად დავინიშნე და ამ თანამდებობაზე 2007 წლამდე ვიყავი“, — იხსენებს ალექსანდრე უნაფქოშვილი.

თუმცა, კადრს მიღმაც მრავალი საინტერესო დეტალი დარჩა... ბატონი ალექსანდრე სიამოვნებით იხსენებს ყამირზე სტუდენტებთან ერთად გატარებულ დღეებს, შეხვედრებს დიდ მეცნიერებთან. „განსაკუთრებით დამამახსოვრდა აკაკი შანიძე. ბატონი აკაკი, მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა, გონებაგახსნილი ადამიანი გახლდათ. ბედნიერება მქონდა, მასთან სახლში რამდენჯერმე ვყოფილიყავი და გადამეღო თავის მეგობარ მეცნიერებთან ერთად. ღიმილით მახსენდება სოლომონ ხუციშვილთან ჩემი ერთერთი სტუმრობა, როდესაც მკითხა: — საშა, გახსოვს მოლარე ნიკიტინიო? მე ვუპასუხე: — ბატონო სოლომონ, მაშინ დედაჩემიც კი არ იყო დაბადებული და როგორ მემახსოვრება-მეთქი. საინტერესო ადამიანი იყო ალეკო თავხელიძე — დიდი პიროვნება და მეცნიერი; ასევე, ჰიდროლოგი გივი სვანიძე და სხვები... აღარაფერს ვამბობ მარიკა ლორთქიფანიძესა და მზექალა შანიძეზე, რომლებიც ჩვენი „მუდმივი“ რესპონდენტები არიან... მათთან ურთიერთობა დიდი პატივია.

ჩვენ ხშირად ვმასპინძლობდით უცხოელ სტუმრებს. ერთხელ ჩეხი სტუდენტები ჩამოვიდნენ, რომლებსაც დათიკო გამეზარდაშვილმა ღირსეულად უმასპინძლა. იგი მათ ყველა სურვილს უსრულებდა. ბოლოს ერთმა სტუდენტმა უთხრა: — როგორც ჩანს, თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ და უთხარით რუსებს, ჩვენი ქვეყნიდან ტანკები გაიყვანონო. ბატონმა დავითმა გაიცინა და უპასუხა: — ეგ რომ შემეძლოს, მაგათ პირველ რიგში ჩემი ქვეყნიდან გავიყვანდი. ასე რომ, მიუხედავად ბევრი სირთულისა, საინტერესო და სასიამოვნო მოგონებები მაქვს,“ — ამბობს ჩვენთან საუბარში ალექსანდრე უნაფქოშვილი.

ვრცელია იმ ფილმების ჩამონათვალი, რომელიც ამ 44 წლის მანძილზე კინო-ტელე-ლაბორატორიაში შეიქმნა: „ივანე ჯავახიშვილი“, „შალვა ნუცუბიძე“, „ნიკო მუსხელიშვილი“, „აკაკი შანიძე“, „დიმიტრი გულია“, „უნივერსიტეტი – 70“, „მეგობრობის ქრონიკა“, „გამოცდები“, „ანდერძი“, „ტრადიციის გაგრძელება“, „ვენეციის კარნავალი“, „გამოცდები, გამოცდები“, „სიმღერის ფრთებზე“, „მეგობრობის მერიდიანზე“, „ღიმილი“, „მინარეთების ქვეყანაში“, „ვინ ვართ ჩვენ“, „სამყაროს ექო“, „კვალი მიწაზე“ და სხვა.

2000 წლიდან სტუდიაში მომზადდა შემდეგი ფილმები: „ფილიპე გოგოჩაიშვილი“, „ნიკო ნიკოლაძე“, „მეცნიერების რაინდი (ვალერიან მელქაძე)“, „არისტოკრატი მეცნიერი (ირაკლი მიქელაძე)“. „მეცნიერი, მოღვაწე, პიროვნება (გიორგი ჯიბლაძე)“, „უნივერსიტეტის მემატიანე“, „ჰერტ ჰუმელი“, „ვივა აკადემია“, ასევე ვიდეო ჩანახატები: „სიონიდან უნივერსიტეტამდე“, „თსუ 85“, „აქებდით ღმერთსა მეცნიერებით“. მომზადდა ტელეგადაცემები: „ბიზნესადმინისტრირების სკოლა“, „ტემპუს ტასისი — უნივერსიტეტების ერთობის გარანტი“, „გზა ევროპისკენ“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს თსუ-ში გატარებული რეფორმების შედეგად აღნიშნული ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა შემოქმედებითი სტუდია „მემატიანე“, რომელიც ამჟამად განაგრძობს საქმიანობას — ფირზე აღბეჭდავს უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა მოვლენას, ქმნის ვიდეოფილმებს ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობის შესახებ.

დღეს კინო-ტელე-ლაბორატორიის ბაზაზე დაფუძნებული სტუდია „მემატიანე“ უნიკალურ და მდიდარ არქივს ფლობს, სადაც ინახება კინო-ფოტო ვიდეოთეკა — 200 საათის მოცულობის ვიდეოჩანაწერები, დაცულია სასწავლო-სამეცნიერო ფილმები და უნიკალური ფოტონეგატივები.

„2007 წელს ლაბორატორიის თანამშრომლები სამსახურიდან დაითხოვეს, შტატები გაუქმდა. დიდი თხოვნის შემდეგ გაგვიფორმეს ხელშეკრულება. ჩვენ გვინდოდა არქივი გადაგვერჩინა და ძველი ფირები ციფრულ ფორმატში გადაგვეტანა. სამუშაოს წელიწადნახევარი მოვანდომეთ. თუმცა, ამ მიმართულებით გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. გარდა ამისა, დღესაც ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი „მემატიანე“, რომლის შემადგენლობაში არიან: ოპერატორი ნიკო აჯიბეგიშვილი, რეჟისორ-მემონტაჟე ბესო ჩარგეიშვილი. კინორეჟისორი და მემონტაჟე მაგული გოცირიძე, ვაგრძელებთ მუშაობას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ფირზე ავსახავთ. შექმნილი გვაქვს დოკუმენტური ფილმები მარიკა ლორთქიფანიძეზე, „თსუ გორდელაზე”, კოტე წერეთელზე, ბენო ბალავაძეზე, რისმაგ გორდეზიანზე, თამაზ გამყრელიძეზე...

დღეს ტექნოლოგიური შესაძლებლობები გაცილებით მეტია. სასიამოვნო ფაქტია, რომ თსუ-ში დაგეგმილია ინტერნეტ ტელევიზიის გახსნა. ჩვენს გამოცდილებას სიამოვნებით გავუზიარებთ სტუდენტებს. შესაძლოა, ერთობლივადაც ვიმუშაოთ. გარდა ამისა, შევადგინეთ ახალი ნუსხა მეცნიერებისა და, თუ ამის შესაძლებლობა იქნება, გვინდა, მათზეც გადავიღოთ ფილმები“, — ამბობს ალექსანდრე უნაფქოშვილი.

უნივერსიტეტის ყოველი მეორე დღე უკვე ისტორიაა, ამიტომ მატიანედ ქცეულ წლებს ისევ „მემატიანე“ შემოგვინახავს...

დისკუსია თემაზე

„სასამართლოს ხელისუფლების გამოწვევები – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება“

მეოთხე გვერდიდან

ჩვენ მუდმივად გვექნება საფრთხე იმისა, რომ ყოველი ახალი ხელისუფლება, რომელიც უკმაყოფილო იქნება ამ ცვლილებებით, მუდმივად შეეცდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირებას და უფლებამოსილების შეწყვეტას, რასაც ჩვენი ასოციაცია არ იზიარებს, მაგრამ არის გარკვეული ცვლილებები, რომელსაც ვემხრობი“, — აღნიშნა ზაზა მეიშვილმა.

იუსტიციის საბჭოს რეფორმირების შესახებ საინტერესო მოსაზრებები წარმოადგინეს აგრეთვე სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ ვალერი ცერცვაძემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ გამყრელიძემ, სამართლის დოქტორმა მერაბ ტურავამ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა თამუნა გვარამაძემ, თსუ-ის პროფესორებმა: ავთანდილ დემეტრაშვილმა, გიორგი კვერენჩხილაძემ, მორის შალიკაშვილმა და სხვებმა.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ჯონი ხეცურიანმა თავის გამოსვლაში გამოკვეთა მოსაზრება, რომ უნდა დასაბუთდეს, თუ რატომ დადგა დღის წესრიგში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების საკითხი და რა გვაძლევს მისი განხორციელების საფუძველს: „თუ ჩვენ ამ საფუძვლების დამტკიცებას შევძლებთ, მაშინ ვერც ვენეციის კომისია შეაფასებს მას კრიტიკულად. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლებამოსილებას ვადამდე შევუწყვეტთ, ამის დამტკიცებას საფუძველი სჭირდება. ასეთი სახის შეხვედრებზე სწორედ ამ საფუძვლების განხილვასა და რეფორმების გამომწვევ მიზეზებზე უნდა იყოს საუბარი. ამ პროექტის მიხედვით, მხარდასაჭერია ბევრი რამ, რაც მიზნად ისახავს სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერებას“, — აღნიშნა მან.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის აზრით, ასეთი შეხვედრების მოწყობა და სპეციალისტების კომპეტენტური მოსაზრებების გაზიარება მნიშვნელოვანი და აქტუალურია, მითუმეტეს, როცა საქმე ქვეყნის განვითარების სადავო საკითხებს ეხება: „მნიშვნელოვანია ასეთი საკითხების განხილვისას სამეცნიერო წრეების აქტიური ჩართულობა და საკითხის მეცნიერულად შესწავლა. არ შეიძლება ტოტალური გადასინჯვა ყველა გადაწყვეტილებისა, რადგან ეს სამოქალაქო საზოგადოებრივ ცნობიერებაში სტაბილურობის განცდას დაარღვევს და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების არასტაბილურობას შეუწყობს ხელს“, — განაცხადა ირაკლი ბურდულმა, რომელმაც საზოგადოებას მსგავსი ფორმატის ფარგლებში კიდევ ერთი შეხვედრა შესთავაზა მას შემდეგ, რაც ვენეციის კომისიის დასკვნა გახდება ცნობილი.

მრგვალი მაგიდის გარშემო გამართულმა დისკუსიამ საინტერესოდ ჩაიარა. მოწვეულმა სტუმრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს თსუ-ის ადმინისტრაციას და სამომავლოდ ასეთი წარმომადგენლობითი და აქტუალური შეხვედრების სურვილი გამოთქვეს.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

აქ თაობები ერთმანეთს ცვლიან, უნივერსიტეტის სიყვარული მემკვიდრეობით გადაეცემა და, ალბათ, ეს ერთადერთი და გამორჩეული შემთხვევაა, როდესაც „თაობათა ბრძოლა“ მშვიდობიანია — შვილები მშობლებისგან, ბებიებისა და ბაბუებისგან სიამოვნებით ისმენენ სტუდენტობისდროინდელ მოგონებებს, ითვალისწინებენ მათ რჩევებს და შემდეგ ისინიც იმ განწყობით აგრძელებენ თსუ-ში სწავლას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს „სხვა ხიბლიც აქვს“. დღესაც, ტრადიციისამებრ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი პროფესორ-მასწავლებლის თუ თანამშრომლის შვილი სწავლობს. მშობლებს, რომლებიც უნივერსიტეტში მუშაობენ, შვილებისთვის არც იმის შეხსენება ავიწყდებათ, რომ აქ სწავლა მათთვის დიდი პასუხისმგებლობაა. შვილებიც უპირობოდ ეთანხმებიან უფროსი თაობის დარიგებას და ცდილობენ — არ ისარგებლონ იმ უპირატესობით, რასაც შეიძლება მათ უნივერსიტეტის პროფესორთა შვილობა ანიჭებდეთ. ვინ არიან და ვისი შვილები თუ შთამომავლები არიან? სარგებლობენ თუ არა პრივილეგიებით? — ამ ინტერესის კვალს გავყევით და უნივერსიტეტის წიაღში ყველასთვის ნაცნობი თანამშრომლების შვილებს მივაგენით.

დათო ებანოიძე

ᲩᲔᲛᲛᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲕᲘᲡᲘ ᲒᲝᲠᲘᲡᲐ ᲕᲐᲠ

„უნივერსიტეტელობის ცნების განსაზღვრისთვის მოკლე ფორმულა მაქვს — პატივი ეცი ტრადიციებს და არ ჩამორჩე დროს“, — ასე ფიქრობს აკადემიური საბჭოს წევრის, პროფესორ ნანა გაფრინდაშვილის შვილი დათო ებანოიძე, რომელიც ამჟამად თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობს. ბაკალავრის ხარისხი მან კავკასიის უნივერსიტეტში მიიღო. დათო სამხრეთ კორეაშიც სწავლობდა, სადაც, როგორ თვითონ ამბობს, კარგი გამოცდილება შეიძინა. მისი გადაწყვეტილება — მაგისტრის ხარისხი თსუ-ში მიეღო, ძირითადად, სწავლების ხარისხის მხრივ უნივერსიტეტის უპირატესობამ განაპირობა, თუმცა მის არჩევანზე იმ ფაქტორმაც იმოქმედა, რომ მისი მშობელი უნივერსიტეტში მუშაობს. „ის, რომ დედა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და აკადემიური საბჭოს წევრია, გარკვეულ პასუხისმგებლობას მაკისრებს, რაც სავსებით გააზრებული მაქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვფიქრობ, რომ „პრივილეგიებზე“ საუბარი ნამდვილად ზედმეტია. ეჭვი მეპარება იმაშიც, რომ ჩემმა პროფესორებმა იცოდნენ — „ვისი გორისა“ ვარ. თავისუფალი პიროვნება ვარ და დედაჩემის ფაქტორი არანაირად არ მზღუდავს “, — ამბობს დათო.

გეგმავს თუ არა იგი მომავალში უნივერსიტეტში მუშაობას? — კითხვაზე გადამწყვეტი პასუხი არა აქვს, თუმცა, ამ თემაზეც უფიქრია. „უფრო მეტად პრაქტიკოსი ვარ და ჩემი დრო და ენერგია მინდა პრაქტიკულ საქმიანობას მოვახმარო. თითქმის ორი წელია, ვმუშაობ სს „წყალმარგებელში“ („ნაბეღლავისა“ და „ბახმაროს“ მწარმოებელ კომპანიაში) ექსპორტის საკითხებზე. ჩემი საქმიანობა საინტერესო და მრავალმხრივია, რაც ხელს მიწყობს დავაგროვო გამოცდილება სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებით სასიამოვნოა, როდესაც კომპანიას სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებსა და ფორუმებზე წარმოვადგენ. ჩემს სამომავლო გეგმებში შედის სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულება და ამავე სფეროში მაქსიმალურად დიდი პრაქტიკული გამოცდილების მიღება. შორეულ მომავალში კი არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს გამოცდილება სამეცნიერო საქმიანობისთვის გამოვიყენო. ამ თვალსაზრისით თსუ ნამდვილად საინტერესო ასპარეზი იქნება“, — ამბობს დათო ებანოიძე.

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲠᲐᲪ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ, ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲒᲕᲐᲠᲝ

ბავშვობიდან „უნივერსიტეტელთა“ გარემოში იზრდებოდა თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის — დალი კანდელაკის შვილი ანი ნაჩხატაშვილი. მშობლების ცხოვრება მისთვის მართლაც მისაბაძი იყო ყოველთვის. დედამ თავის დროზე წარჩინებით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი, მამამ — იურიდიული ფაკულტეტი. მამიდა, დეიდები, ბებია — ყველა უნივერსიტეტელია. ანი სიამოვნებით იხსენებს, როგორ იკრიბებოდნენ მათთან მშობლების მეგობრები, რომლებიც სიყვარულით და სითბოთი იხსენებდნენ უნივერსიტეტში გატარებულ წლებს. ამიტომ ბავშვობიდან ვერც კი წარმოედგინა, რომ თსუ-ის გარდა სხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაც არსებობდა.

არჩევანი იურიდიულ ფაკულტეტზე შეაჩერა, თუმცა ამბობს, რომ სასწავლებლის შერჩევისას მხოლოდ ოჯახის რჩევით არ უხელმძღვანელია. აბიტურიენტობის დროს გაეცნო თსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამებს, უცხოეთშიც მოსინჯა ძალები — მაასტრიხტის უნივერსიტეტის ევროპის სამართლის სკოლიდანაც მიიღო მიწვევა, მაგრამ იმ პერიოდში გამგზავრება ვერ მოახერხა.

ანი ნაჩხატაშვილი

„დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. ჩემი ფაკულტეტის პროფესურას სწავლებისა და კვლევის დიდი გამოცდილება აქვს. მიმაჩნია, რომ საქართველოში ყველაზე კარგად თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე შევძლებ ღირებული ცოდნის შეძენას”, — ამბობს ანი. იგი ამაყობს, რომ დედა — ქალბატონი დალი კანდელაკი 1982 წლიდან თსუ-შია....

„თუ რაიმე პრობლემა მაქვს ფაკულტეტზე მოსაგვარებელი, დედა არასდროს ერევა. ორივე ვთვლით, რომ პრივილეგიებით არ უნდა ვსარგებლობდე და ნებისმიერი საკითხი, რაც თსუ-ში სწავლას ეხება, თავად უნდა მოვაგვარო. ბევრმა ლექტორმა არც იცის, ვინ არის დედაჩემი. ხშირად ოჯახში გულახდილად ვსაუბრობთ და სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს განვიხილავთ და ჩვენ აზრს ერთმანეთს ვუზიარებთ. ერთმა სტუდენტმა, როდესაც დედა ჯერ კიდევ ბაკალავრიატის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა, მას „თსუ-ის მასპინძელი” და „სტუდენტების დედა” შეარქვა. მე და ჩემი უმცროსი და ხუმრობით ვამბობთ, რომ სწორედ მაშინ დავკარგეთ დედა, როდესაც ამ თანამდებობაზე დაინიშნა. სამსახურიდან მოსული ხშირად ისევ სამსახურზე ფიქრობს. მისი ტელეფონი არ ჩერდება, სულ სტუდენტებს ესაუბრება და ჩვენთვის ძნელად თუ იცლის,” — ღიმილით ამბობს ანი.

სალომე ბელქანია

ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲒᲠᲫᲜᲘᲐ

სტუდენტობის წლები ყველასთვის ძვირფასი დროა. სალომე ბელქანიას მშობლებმა უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრეს, ერთმანეთი უნივერსიტეტში გაიცნეს და შემდეგ დაოჯახდნენ კიდეც. ოჯახში ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი იხსენებენ აქ გატარებულ წლებს, ამიტომ პროფესორ ნოდარ ბელქანიას შვილიც ვერ გაექცა „გავლენას“ და ამბობს, რომ ეს გარემო მისთვისაც მეტად საყვარელი და მშობლიურია.

„მამა დღესაც აქ მუშაობს, თუმცა არ ვიქნები გულწრფელი, თუ ვიტყვი, რომ ჩემი არჩევანი მხოლოდ მათი გავლენით გავაკეთე, თუმცა ქვეცნობიერად მათმა „უნივესიტეტელობამაც“ გადამაწყვეტინა თსუ-ში სწავლა. მშობლებისგან განსხვავებით, მე ჟურნალისტიკა ავირჩიე. უნივერსიტეტში სწავლა ძალიან მომწონს და მისადმი ის რომანტიული დამოკიდებულებაც მაქვს, რაც ძველ თაობას ჰქონდა. პირველ და მეორე კორპუსში შესვლისას წარმოუდგენელია, არ იმოქმედოს იმის გაცნობიერებამ, თუ რა მდიდარი წარსული აქვს ჩვენს უნივერსიტეტს. სხვათაშორის, ამას ის სტუდენტებიც აღიარებენ, რომლებსაც თითქოსდა არ აკმაყოფილებთ აქ მიღებული სწავლის დონე, რაშიც მათ ნამდვილად ვერ დავეთანხმები“, — ამბობს სალომე.

„ის ფაქტი, რომ მამა ჩვენი ფაკულტეტის დეკანიც იყო, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას მმატებს, თუმცა ამის გამო შეღავათები არასდროს მიგრძვნია. ზოგიერთმა ლექტორმა არც კი იცის, ვისი შვილი ვარ. არც გამორჩეულად კარგი სტუდენტი ვარ და არც ზარმაცი. მამასგან შენიშვნებს არ ვიღებ, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან „ვცელქობ”. მიყვარს დამოუკიდებლობა და თავისუფალი აზროვნება, რაშიც მშობლები არასდროს მზღუდავენ,” — გვითხრა სალომე ბელქანიამ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

თსუ-ის პროფესორების — ქეთი გოჩიტაშვილისა და კახაბერ გაბუნიას შვილმა გიორგი გაბუნიამ გერმანიაში სწავლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოაკითხა. „მართალია, ჩემი მშობლები აქ მუშაობენ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან, მაგრამ არჩევანის დროს სრული თავისუფლება მომანიჭეს, ამიტომაც სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გავემგზავრე. თავდაპირველად მიუნხენის კოლეჯში ვსწავლობდი, შემდეგ კი იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. მართალია, გერმანიაში გატარებულმა წლებმა დიდი გამოცდილება შემძინა და გერმანულ ენასაც კარგად დავეუფლე, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ იურისტობა არ მაინტერესებდა და საქართველოში დავბრუნდი. ამჯერად მშობლების რჩევა გავითვალისწინე და წელს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებაზე ჩავაბარე. შეიძლება სუბიექტური ვარ, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლა უფრო მომწონს, ვიდრე გერმანიაში. შესაძლოა ეს იმანაც განაპირობა, რომ რასაც იქ ვსწავლობდი, არ მაინტერესებდა“, — ამბობს გიორგი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მშობლები მის გადაწყვეტილებაში ნაკლებად ერევიან და თურმე არც ზედმეტი დარიგებით აბეზრებენ შვილს თავს. გიორგი თვლის, რომ მას არ სჭირდება იმის შეხსენება, რომ მშობლების ნდობა უნდა გაამართლოს.

„მათ ძალიან უყვართ თავიანთი საქმე და ეს ჩემთვის უკვე კარგი მაგალითია. დედაც და მამაც ხშირად სახლში აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. სხვათა შორის, ვფიქრობ, დამატებით სპეციალობად ხომ არ ავირჩიო ფილოლოგია ან ფილოსოფია. ჩემი მშობლებისგან ყოველთვის საგულისხმო რჩევებს ვიღებ. ჯერჯერობით მათი დახმარება არ მჭირდება და არც რაიმე პრივილეგიით მისარგებლია იმის გამო, რომ ისინი თსუ-ის თანამშრომლები არიან,“ — ამბობს გიორგი.

გიორგი გაბუნია

ᲑᲔᲑᲝ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲛᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ

პროფესორ დამანა მელიქიშვილისა და პოეტ ბესიკ ხარანაულის შვილიშვილობა რომ მართლაც დიდი პატივია, ეს პატარა ბესიკ ხარანაულს სრულიად გააზრებული აქვს და ისიც იცის, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ბესიკმა სწორედ მათი გავლენით ჩააბარა თსუ-ში. დღეს ბესიკი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიზანტინისტიკის მიმართულების II კურსის სტუდენტია.

ბესიკ ხარანაული

„ბებიას ძალიან უყვარს უნივერსიტეტი და თავისი პროფესია. იგი ხშირად მიყვება უნივერსიტეტის წარსულსა და დღევანდელ მდგომარეობაზე. მართალია, ძველი სწავლების სისტემა უფრო მოსწონს, მაგრამ თვლის, რომ საქართველოში ეს სასწავლებელი მაინც ყველაზე უკეთესია. მისმა საუბარმა და რჩევამ შედეგი გამოიღო. ზოგადი განათლების მიღების მიზნით კლასიკური ფილოლოგიის განხრით ვაპირებდი სწავლას, მაგრამ როდესაც ანტიკურ ბიზანტიურ ლიტერატურას გავეცანი, ამ მიმართულებით გადავწყვიტე ცოდნის გაღრმავება. ბებიასგან რჩევებს დღესაც ხშირად ვიღებ. იგი აქტიურად არის ჩართული ჩემს საქმიანობაში და მუდმივად მაკონტროლებს — როგორ და რას ვსწავლობ. ლექტორებთანაც აქვს ურთიერთობა და უყვარს ჩემი შემოწმება. არ დავმალავ, რომ ეს ამბავი დიდად არ მომწონს, მაგრამ ხელსაც არაფერში მიშლის, პირიქით, ვცდილობ, ნაკლები საყვედური დავიმსახურო და გავახარო. ამასთან, მივეჩვიე, რომ მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდო ჩემს საქმეს,“ — ამბობს ბესიკი. იგი ბებიას კონტროლისგან სრულიად თავისუფალი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ხატავს. მან წინა სემესტრში ერთერთ საგნად ფერწერა აირჩია და თსუ-ის სამხატვრო სტუდიაშიც დადიოდა. „ხატვა ძალიან მიყვარს და ამიტომ არც ის არის გამორიცხული, რომ მომავალში პროფესია შევიცვალო, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ყველა შემთხვევაში უნივერსიტეტში კარგ განათლებას მივიღებ,“ — გვითხრა ბესიკ ხარანაულმა, რომელიც ცდილობს, ბებო ასიამოვნოს და მის გასახარად საქებარი სიტყვები ხშირად დაიმსახუროს.

მოამზადა
ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ფოტო-აზროვნება

ქართველი ფოტოგრაფის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პედაგოგის, ნათელა გრიგალაშვილის *ფოტო National Geographic Magazine-ის გარეკანზე დაიბეჭდა და თებერვალში მას მსოფლიოს 36 ქვეყნის 60 მილიონი ადამიანი იხილავს.*

მაია ტორაძე

მისთვის ფოტო მხოლოდ შეჩერებული წამი არ არის. თითოეული კადრი, რომელიც ცნობილი ფოტოხელოვანის ნათელა გრიგალაშვილის თვალთახედვის არეში ხვდება, თავისთავად გიბიძგებს ფიქრისა და განსჯისაკენ. ალბათ სათქმელის სწორად გადმოცემის გამოა, რომ მისი შემოქმედება კარგა ხანია ყურადღებას იმსახურებს.

ნათელა გრიგალაშვილი ერთერთი პირველი იყო საქართველოს ბოლოდროინდელ ფოტოხელოვნებაში, ვინც რეალურად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმოიტანა ფირებზე ქართული სოფელი და ადამიანთა სახეები, რომლებშიც დრო და რეალობა თითოეულ ნაოჭსა და ძარღვში ასახულიყო...

თუმცა ეს იყო ჯერ კიდევ 90-იან წლების დასაწყისი...

დღეს იგი არაერთი საერთაშორისო პროექტის თანაავტორია, მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენაში, ასწავლის ფოტოხელოვნებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე და, რაც მთავარია, მუდმივად ეძებს იმ კადრს, რომელიც, მისი აზრით, ზუსტად გამოხატავს სათქმელს და რომელიც ხან სიცოცხლის წყურვილია, ხანაც – დროთა ულმობელი წარმავლობა.

სულ ცოტა ხნის წინ ნათელა გრიგალაშვილის ფოტო მსოფლიო ფოტოხელოვანთა ყურადღების ქვეშ მოექცა.

ფოტოზე გამოსახულია პატარა ბიჭუნა, რომელსაც ხელში თევზი უჭირავს და კოცნის მას. ხელები — ჭუჭყიანი, იდაყვები — დაკაწრული, მაისური — გახუნებული... წამი, რომელიც ამ ფოტოზეა დაფიქსირებული, მდიდარი წარმოსახვის ადამიანს ათას სიმბოლოს ამოუტივტივებს თავში — შეიძლება იფიქრო, რომ ეს არის ადამიანსა და ბუნებას შორის უწყვეტი კავშირის მანიშნებელი... შეიძლება იფიქრო, რომ ბიჭუნა უბრალოდ ძალიან ახლოსაა ამ სამყაროსთან და აჩვენებს, რომ მისთვის თევზი ჩვეულებრივი ცოცხალი არსებაა... შეიძლება ამ უზარმაზარ ოქროს თევზს ბიჭუნა ბავშვურ ჩანაფიქრს ანდობს და ოცნებების ასრულებას სთხოვს... რა ვიცი, კიდევ რა არ შეიძლება წარმოიდგინო, მაგრამ ეს ყველაფერი პოეზიაა, რეალობა კი სრულიად სხვა ყოფილა.

თავად ნათელა ასე იხსენებს ამ ფოტოს გადაღების ისტორიას: „ვმუშაობ პროექტზე „დუხობორები საქართველოში“... მოგეხსენებათ, მათი სოფლები სამხრეთ საქართველოში იყო და მეც, ჩვეულებისამებრ, უმისამართოდ გავემართე ამ სოფლებისა თუ ნასოფლარების გადასაღებად. სწორედ აქ, ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან მდებარე დუხობორების სოფელში, მეთევზის ოჯახში, გადავიღე ეს ფოტო.

პატარა ბიჭუნა, რომელიც ფოტოზეა გამოსახული, ამ ოჯახის შვილია. გამასპინძლების შემდეგ ჩვეულებრივ აპარატს მოვკიდე ხელი და ბავშვმა რომ დაინახა, ვუღებდი, უცებ გაიქცა, სამზარეულოში მდგარი დიდი კასრიდან ცოცხალი თევზი ამოიყვანა და კოცნა დაუწყო... აი, ასე გამოვიდა ეს კადრი, რომელსაც სახელი არ ჰქვია...“ - იხსენებს იგი.

რაც შეეხება „National Geographic”-ის კონკურსს, იქაც უბრალოდ, ალალბედზე აუტვირთავს ფოტო და მერე, როცა სხვა ფოტოხელოვნების ნამუშევრებისთვის გადაუხედავს, გადაუწყვეტია წაშალა იგი: „ისეთ ქვეყნებში იყვნენ ეს ფოტოგრაფები ნამყოფი და ისეთი სილამაზე ჰქონდათ გადაღებული, ვიფიქრე, ჩემს ნამუშევარს არავინ შეხედავდა. მერე, როგორც ხშირად ხდება, მიმავიწყდა ფოტოს წაშლა და განვაგრძე ჩვეულებრივ საქმიანობა. ერთ დღესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ გავიმარჯვე“, — ასე იხსენებს კონკურსში გამარჯვების ისტორიას ნათელა გრიგალაშვილი და მილოცვებსაც თავმდაბლად იღებს, რადგან, როგორც ჩანს, „ვნების სიმძაფრე“ მისთვისაც სასურველი კადრების მოძიებასა და გადაღებაშია და არა უკვე გადაღებული ფოტოებით ტკბობაში.

აღიარებამდე ნათელა გრიგალაშვილი ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდა. მისი ბუნება ხაშურში, „მსოფლიოში ყველაზე ლამაზ სოფელში“ - თაგვეთში ჩამოყალიბდა. თავიდან კონოოპერატორობა უნდოდა და გადაწყვიტა, ჯერ ფოტოხელოვნებაში გამოეცადა საკუთარი შესაძლებლობები. ხელობის შესწავლაც დააპირა — მაშინ თურმე საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში არსებობდა ფოტოატელიეს ფოტოგრაფის კურსები და ერთი ნელი იქაც იარა. ამის გამო ახლა გურამ წიბახაშვილი თურმე ხშირად ეხუმრება: „ჩვენს შორის მარტო შენა ხარ დიპლომიანი ფოტოგრაფი“.

ნათელას მოსწონს, რომ დღეს უკვე ბევრმა დაიწყო გადაღება, მაგრამ მიაჩნია, რომ ისე, უბრალოდ, კადრის დანახვა ძალიან ძნელია — უნდა იცოდე, რა გაქვს სათქმელი და რის გადაღებას აპირებ. „ფოტოგრაფიაში ხშირად ისმის კითხვა — ფოტოა მთავარი თუ იდეა? ვფიქრობ, რომ მთავარი არის იდეა, რომელიც კარგ კადრში უნდა გამოჩნდეს“, - ამბობს ფოტოხელოვანი, რომლის მთავარი სათქმელი მუდამ დოკუმენტურ ფოტოგრაფიაში იმალება.

„ბევრი ჟურნალისტისგან მომისმენია სინანული – რატომ არ ისწავლა თავის დროზე კარგად ფოტოგრაფია. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი ჟურნალისტისთვის, რადგანა მან ყველაზე კარგად იცის, რა კადრი სჭირდება იმ სათქმელის უკეთ გადმოცემას, რის დაწერასაც აპირებს“, - ამბობს ნათელა გრიგალაშვილი და ჩვენს კითხვაზე: — რა უმთავრეს პრინციპებს ეყრდნობა მისი ლექციები? პასუხობს: „მე მათ ვასწავლი აზროვნებას, რადგან ფოტო მარტო ტექნიკა არ არის, იგი აზრი, სათქმელი და ემოციაა...“

სტუდენტის შთაბეჭდილებები

„ზაარ–უნი“-დან თსუ-მდე

ნოემბრის ბოლოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან სტუდენტური თვითმმართველობების განვითარების კომისია შეიქმნა, რომელშიც ,,ნარინჯისფერთა კლუბს'' წარმოვადგენ. კომისიის მუშაობის პროცესში დაიგეგმა გერმანიაში გამგზავრება და ვიზიტში მონაწილე დელეგაციის ერთერთი მონაწილე მეც აღმოვჩნდი.

გერმანიაში ვიზიტი ზაარლანდის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ინტენსიურ შეხვედრებსა და იქაური გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებდა.

ზაარლანდის უნივერსიტეტი, დაახლოებით, იმდენივე სტუდენტს ითვლის, რამდენსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჩვენ უნივერსიტეტებს პარტნიორობის არცთუ ხანმოკლე ისტორია აქვთ. რამდენიმე წლის წინ, ზაარლანდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი თსუ-შიც იმყოფებოდა. ზაარლანდის უნივერსიტეტი ქალაქგარეთ მდებარეობს და დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმულ კამპუსს მოიცავს. ადმინისტრაციისათვის თუ ლექცია–სემინარებისთვის განკუთვნილი კორპუსების გარდა კამპუსის ტერიტორიაზე სასადილო – მენსა (სადაც ფასების ხელმისაწვდომობა მკაცრად გაკონტროლებულია), წიგნების მაღაზია, საერთო საცხოვრებელი, რამდენიმე კაფე და სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტია განთავსებული.

სტუდენტების მონაწილეობას უნივერსიტეტის ცხოვრებასა და მართვაში დიდი ყურადღება ეთმობა. სენატში სტუდენტები თავიანთ 3 წარმომადგენელს პირდაპირი წესით ირჩევენ. პირდაპირი წესით არჩეული წარმომადგენელი ჰყავთ სტუდენტებს უნივერსიტეტის საბჭოშიც (ჩვენებურად, რეგენტთა საბჭო). მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ სათათბირო ფუნქცია აქვს, თითქმის დაუშვებელია, რომ რეგენტთა საბჭოს არასაუნივერსიტეტო წევრები გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეუთანხმებლად იღებდნენ. როგორც რეგენტთა საბჭოს სტუდენტმა წევრმა განაცხადა, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც რეგენტთა საბჭო სტუდენტებს არ დაეკითხა, სწავლის საფასურის გაზრდასთან დაკავშირებული კანონპროექტი იყო. სტუდენტებმა საბჭოს სხდომის ჩატარების უფლება არ მისცეს და ყველა იმ ოთახის ბლოკირება მოახდინეს, სადაც საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლებოდა მიეღო. შედეგად, ზაარლანდის უნივერსიტეტის სტუდენტები სწავლაში თსუ-ელ სტუდენტზე 4–ჯერ ნაკლებს, წელიწადში 320 ევროს იხდიან.

სტუდენტური ცხოვრების წარმმართველია AStA, რომელსაც სტუდენტური პარლამენტი ირჩევს. სტუდენტურ პარლამენტს კი, თავის მხრივ, ზაარლანდის უნივერსიტეტის სტუდენტები ირჩევენ. თვითმმართველობის 3 500 000–იანი ბიუჯეტიდან 3 200 000 სტუდენტების მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობას ხმარდება. ზაარლანდის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა Studentwerke-სთან ერთად სტუდენტებს არაერთ მნიშვნელოვან სერვისს სთავაზობს, მათ შორის: ფსიქოლოგიურ დახმარებას, დაბინავების პრობლემების მოგვარებას და სხვ. მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ბავშვიანი სტუდენტების და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების უფლებების დაცვას. თვითმმართველობის (AStA) ერთერთი კომიტეტი ოჯახურ და გენდერული თანასწორობის საკითხებს ეძღვნება.

სტუდენტურ პარლამენტში ყველაზე მეტი წარმომადგენელი „სოციალ-დემოკრატებს“ ჰყავთ: 31-დან – 7 წევრი. შესაბამისად, არსებობს კოალიცია, რომელშიც „სოციალ-დემოკრატებთან“ ერთად „ლიბერალები და „მეკობრეები“ შედიან. ძლიერია დამოუკიდებელი, აპარტიული სტუდენტური წარმომადგენლობაც პარლამენტში. ბევრი საკითხი „ჯენტლმენური შეთანხმებით“ რეგულირდება. ამდენად, ბიუროკრატია ადამიანური ურთიერთობებისა და მაღალი პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე თითქმის ნიველირებულია.

ოთარ კობახიძე

და მაინც, გერმანიაში განსაკუთრებულად დრო ფასობს. იგრძნობა, რომ ყველა წუთი მნიშვნელოვანია. ამდენად, ალბათ გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო მათი გაოგნებული სახეები, როცა ჩვენი დელეგაცია შეხვედრებზე ნახევარ საათს აგვიანებდა. ის, რაც ყველაზე მეტად განგვასხვავებს გერმანელებისაგან, დროის ყადრის არ ცოდნაა.

ისეთ პატარა ქალაქშიც კი, როგორიც ზაარბრიუკენია, ადვილად იგრძნობ თავისუფლებას — თავისუფლებას სიშავისაგან და ნაცრისფერისგან, თავისუფლებას დაძაბული აურისგან, სხვათა გაჭორვაზე მომართული სახეებისაგან... მაღაზიაში შესვლისას თბილად გესალმებიან და არაერთხელ გიხდიან მადლობას. გამახსენდა სოლოლაკის მაღაზიები, გამყიდველი უგულოდ რომ მოგიგდებს ცელოფანს და ისე შემოგხედავს, თითქოს ეს-ესაა რამე დაგეშავებინა.

იმას, რომ გერმანია დემოკრატიული და კანონმორჩილი ქვეყანაა, ქუჩაშიც შეამჩნევ. ტროტუარზე თითქმის ვერ შეხვდები მანქანებს. არადა, ჩვენთან, პირველი კორპუსიდან მესამე კორპუსში მიმავალი ფრთხილად უნდა იყო, ტროტუარზე ვინმე ავტომობილით (უმეტესად, შავი ჯიპით) არ დაგეჯახოს. ძალზე პოპულარულია ველოსიპედი, რომლითაც თბილისში მოძრაობა თითქმის შეუძლებელია. ძველი ქალაქის დიდი ნაწილი სწორედ ველოსიპედით და ფეხით მოსიარულეებისათვისაა განკუთვნილი. ცხადია, ტრამვაი კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ქალაქს. იგრძნობა, რომ ქალაქი მხოლოდ ავტომობილის მძღოლს არ ეკუთვნის.

* * *

ის, რაც არა მხოლოდ ზაარბრიუკენში, არამედ ლუქსემბურგსა და სტრასბურგშიც ყველაზე მეტად მომეწონა, შესაძლოა ითქვას, „მოედნების კულტურაა''. აქაური მოედნები ისე გამოიყურება, როგორც ათეული წლების წინ. გამახსენდა თავისუფლების მოედანი, სადაც მე–19 საუკუნის სამსართულიანი კლასიკური ნაგებობის გვერდით 90–იანების პოსტმოდერნული არქიტექტურის რვასართულიანი შენობა დგას. ცხადია შუშის თუ ბეტონის მაღალ შენობებსაც შეხვდები ქალაქებში, ოღონდ მოშორებით ცენტრისაგან. თუ მაინცდამაინც ცენტრშია, ისეთი ეფექტი ნამდვილად არ აქვს, როგორიც ვთქვათ, მთაწმინდაზე აღმართულ ,,ცათამბჯენებს“.

შეუძლებელია არ აღვნიშნო ის შესაშური ფაქტი, რომ ბარებსა და კლუბებში არ ეწევიან. მწეველებს მოწევის სურვილის შემთხვევაში კლუბის/პაბის გარეთ უხდებათ გამოსვლა. ეს უკვე იმდენად გასიგრძეგანებული აქვთ, რომ მთვრალ გერმანელსაც კი ამის გამო დაცვასთან პრობლემები არ ექმნება.

იმ ერთი კვირის მანძილზე ყველაზე მეტად მზე მაკლდა. მთელი დღეები ან მოღრუბლული იყო, ან წვიმდა. ამ დეპრესიულმა ამინდებმა მიმახვედრა, რომ დიდხანს ასეთ ამინდებში რომ მეცხოვრა, ალბათ სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავასრულებდი.

P.S. შესაძლოა მომეჩვენა, თუმცა მგონია, რომ გერმანელები ქაოსშიც წესრიგს პოულობენ. ჩვენ კი წესრიგიდანაც ქაოსამდე მივდივართ.

ოთარ კობახიძე

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, „ნარინჯისფერთა კლუბის“ წევრი, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრი

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62